# ნაკადული 1998



◆ თითქმის ზღაპრული საჩუქარი ◆ სასჯელის განსაკუთრებული ფორმა ◆ თამაშები ვარსკვლავიერ ცაზე ◆ ქვემეხებიდან პისტოლეტებამდე ◆ უშუ ◆ ქცევის ანაბანა ◆ იზარდე, მწვანე ჯეჯილო ◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“
1998 წ. №6
გამოდის 1926 წლიდან

# ნომრის შინაარსი


1. „ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ..... 1
2. ნანა მაყაშვილი – თითქმის ზღაპრული საჩუქარი ..... 2
3. ლინა ბარათაშვილი – ახალი ლექსები ..... 3
4. ვლადიმერ ბერიაშვილი – სასჯელის განსაკუთრებული ფორმა (მოთხრობა) ..... 4
5. ...და თუ ეს ნამდვილი სიყვარულია? (ტესტი) ..... 6
6. ნანა მაყაშვილი – ბათუმის მე-9 საშუალო ..... 7
7. რა და რა ჰქვია რას და რას ..... 8
8. კირიონ II („ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა“...) ..... 9
9. ქვემეხებიდან პისტოლეტებამდე (გვიკარნახეთ თემა) ..... 11
10. მსოფლიო კიდით კიდემდე ..... 14
11. იზარდე, მწვანე ჯეჯილო... ..... 15
12. ვლადიმერ ნიბლიაშვილი – პატარა კირილეს ნაღვლიანი ამბავი (ბუნების კარი) ..... 16
13. ...თუ ასეა, მოგვწერე ..... 18
14. მედეა ღუდუშაური – მეგობრობა, რომელიც არასდროს შეწყდება ..... 19
15. ან გუშინ ვინ იყო, ან დღეს ვინ არის ლამაზი? ..... 20
16. თამაშები ვარსკვლავიერ ცაზე ..... 22
17. ??? ..... 24
18. ქცევის ანბანა ..... 25
19. რამდენად თანამედროვე შეხედულებები გაქვთ (ტესტი) ..... 28
20. უშუ, ანუ მართლა შეუძლიათ შაოლინელ ბერებს გველად ან წეროდ იქცნენ? ..... 29
21. სიცილის გაკვეთილი ..... 32


მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი
რედაქტორის მოადგილე ქეთევან ცამაცაძე
პასუხისმგებელი მდივანი არჩილ მექანიშვილი
სამხატვრო რედაქტორი ნოდარ ხუმბაძე

ჟურნალი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 20498462
რედაქციის მისამართი: 384096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14
ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84
ფასი სახელშეკრულებო.
ინდექსი 76157



# ფაქტი

## „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო



### გიორგი ფიფია — საუკეთესო თავდამსხმელი

დონის როსტოვში გამართულ ჭაბუკთა საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირში მონაწილე თბილისის "დინამოს" 2 გუნდიდან ერთ-ერთი 1985 წელს დაბადებული ბიჭებით იყო დაკომპლექტებული (მწვრთნელი თემურ თვალჭრელიძე). ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი ამ გუნდის თავდამსხმელმა გიორგი ფიფიამ მოიპოვა, რომელმაც 5 შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა. გიორგი ოჩამჩირედან ლტოლვილი ოჯახის შვილია და ამჟამად თბილისის მე-10 სკოლაში სწავლობს.

### ავჭალის კოლონიაში

ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიას, რომელშიც 14-დან 18 წლამდე ასაკის 62 მსჯავრდებული იხდის სასჯელს, სტუმრად ეწვივნენ საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოში ისრაელის საელჩოს და ბიბლიური საზოგადოების, ფირმა "ელიზის" წარმომადგენლები. მათ დაათვალიერეს კოლონიის სკოლა, აქაურ აღსაზრდელთა ნახატების გამოფენა, შარშან ამოქმედებული ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. სიონის ტაძრის დეკანოზმა მამა ზაქარიამ ამავე ეკლესიაში ოთხი მოზარდი მონათლა.

### „ბილიკი" თანადგომას ნიშნავს

გორში შარშან შექმნილმა საზოგადოებამ "ბილიკი", რომელიც მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და ხელმოკლე ოჯახთა შვილების ყოველმხრივ დახმარებას ისახავდა მიზნად, დიდი მუშაობა გასწია. წელს "ბილიკის" კოორდინატორმა ქ-მა მარიკა მღებრიშვილმა და საზოგადოების სხვა მესვეურებმა საქმიანობის გავრცობა-გაგრძელება გადაწყვიტეს და კვლავ მიიღეს მონაწილეობა მესამე სექტორის პირველი ქართული ფონდის "ჰორიზონტის" მიერ გამოცხადებულ გრანტების პროგრამაში. კეთილი საქმის მოთავეებს ხელი მოემართათ, მათმა პროექტმა "თანადგომამ" გაიმარჯვა და ახლა გრანტით დაჯილდოებულ "ბილიკს" გადაწყვეტილი აქვს უფრო ქმედითი მატერიალური და ფსიქოლოგიური დახმარება გაუწიოს იმ გოგო-ბიჭებს, რომლებიც ქვეყნად შექმნილი ვითარების გამო ერთგვარად ამოვარდნენ კალაპოტიდან, მეთვალყურეობისა და ზრუნვის გარეშე დარჩნენ.

### აქცია „ბავშვები — ბავშვებს"

საქართველოს წითელი ჯვრის ახალგაზრდული დეპარტამენტის ინიციატივით საქართველოში მიმდინარეობს საქველმოქმედო აქცია დევიზით: "ბავშვები — ბავშვებს". აქციის ჩარჩოებში მოეწყობა ქუჩის აქციები, კონცერტები და სხვ. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით დედაქალაქის ეროვნულ სტადიონზე გამართული მატჩის დროს გადაიდგა (თბილისი — ტილბურგი). წითელი ჯვრის ემბლემიან უნიფორმაში გამოწყობილმა ბავშვებმა ხელში დალუქული ყულაბებით ჩამოუარეს სტადიონის ტრიბუნებს და ერთი დღისთვის არც თუ მცირე მონაგარი — 41 ლარი, 20 თეთრი და ერთი დოლარი შეაგროვეს. ეს თანხაც და მომავალში ასეთივე გზით შეგროვებული სხვა თანხებიც პირველ რიგში უდედმამო ბავშვებს მოხმარდება.

საქართველოს

# თითქმის ზღაპრული საჩუქარი

ლევან მინაშვილი თბილისის 46-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა. გასულ ზაფხულს ლევანმა თურქეთის უდიდესი ქალაქები და ამ ქვეყანაში არსებული ქართული რელიგიური და ისტორიული ძეგლები მოინახულა. ლევანის თქმით, ეს მოგზაურობა მისთვის მოულოდნელი, თითქმის ზღაპრული საჩუქარი იყო.

— ყველაფერი შარშან შემოდგომაზე, შემთხვევით დაიწყო. რადიოს ვუსმენდი: გადმოსცეს, რომ საზოგადოებამ "საქართველო და გარე სამყარო" მოზარდებისთვის გამოაცხადა კონკურსი თემაზე "ქართული კულტურის ძეგლები თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე". მეორე დღეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ისტორიის სექტორში რომ მივედი, გამოირკვა, რომ კონკურსით ბევრი ჩემი თანატოლი დაინტერესებულიყო. ისტორიის სექტორის ხელმძღვანელებმა კონკურსის 35 მონაწილე 7 ჯგუფში გაგვანაწილეს და ყოველ ჯგუფს თურქეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლების შესახებ ინდივიდუალური თემები მოგვცეს. თითოეულს თავად უნდა გადაგვეწყვიტა, ვინ რომელი კუთხით დავამუშავებდით თემას. ჩვენს ჯგუფს სტამბულის კათოლიკური ეკლესიის ისტორიული, არქიტექტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ უნდა მოეთხრო თავის თემაში.

**— ალბათ, ჯგუფის წევრები ერთმანეთს ეხმარებოდით...**

— არა, ჩვენ ზეირიანად არც გაგვიცნია ერთმანეთი. თავიდან, როგორც შევთანხმდით, ყოველმა ჩვენგანმა სხვადასხვა კუთხით დაამუშავა საკონკურსო თემა. მე სტამბულის კათოლიკური ეკლესიის არქიტექტურული თავისებურებებით დავინტერესდი.

**— ადრე თუ იყავი არქიტექტურით გატაცებული?**

— არა და დღემდე ვერ ამიხსნია, რა ძალამ მიმიყვანა შარშან ამ კონკურსზე. პირველ ხანებში თემაზე არც ვმუშაობდი, მეზარებოდა. მერე გავიგე, რომ ჩვენი საკონკურსო თემები ჟიურისთვის თებერვალში უნდა წარგვედგინა. იძულებული გავხდი, დეკემბერი და იანვარი საჯარო ბიბლიოთეკის გაყინულ დარბაზში მემუშავა, დამტვერილ წიგნებში დამეძებნა საჭირო ინფორმაცია. ხშირად სხვადასხვა მეცნიერების ნაშრომებში ერთი და იმავე ფაქტის შესახებ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ვაწყდებოდი. თავიდან მსგავს სიტუაციებში ვიბნეოდი. მოგვიანებით კი გადავწყვიტე, ჩემს თემაში საკამათო მასალების განხილვისას სხვადასხვა მეცნიერების აბსოლუტურად განსხვავებული მოსაზრებები მომეყვანა. ყველაზე მეტად ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების შოთა ლომსაძისა და ილია ტაბაღუას ნაშრომები დამეხმარა.



ჩვენმა ჯგუფმა ჟიურის 400-გვერდიანი ნაშრომი ჩააბარა. საერთოდ, კონკურსში მონაწილეთა უმრავლესობამ კარგად გაართვა თავი საკონკურსო დავალებებს. საზოგადოებამ "საქართველო და გარე სამყარო" ჩვენი მონდომება დააფასა: კონკურსში გამარჯვებულები — 30 კაცი — თურქეთში სამოგზაუროდ გაგვამგზავრეს.

**— ადრე თუ ყოფილხარ ასე შორ მოგზაურობაში?**

— არა, ეს ჩემი პირველი დიდი და ყველაზე საინტერესო მოგზაურობა იყო. თურქეთში ავტობუსით გავემგზავრეთ. ჯერ ბათუმში ჩავედით, იქიდან პირდაპირ სტამბულისკენ ავიღეთ გეზი. არსად შევჩერებულვართ. სტამბული ძალიან ლამაზი, რაღაც უცნაური, კონტრასტული ქალაქია. თავი აღმოსავლურ ზღაპარში მეგონა: დიდებული მეჩეთები, მინარეთები, მოზაიკით მოპირკეთებული ძველი შენობები ვიტრაჟებიანი სარკმლებით... მარტო ცისფერი მეჩეთის ნახვა რად ღირს! ღია ცის ქვეშ გამართულ უზარმაზარ ბაზრობაზე ყველაფერი იყიდება — ხილითა და აღმოსავლური ტკბილეულით დაწყებული, ანტიკვარული ნივთებითა და სამკაულებით დამთავრებული. თუმცა, საკმარისია, პატარა მანძილი მანქანით გაიაროთ და გეგონებათ, ამერიკის ან ევროპის ერთ-ერთ ქალაქში აღმოჩნდით: დაბინდულ მინებში მოელვარე შენობებს თვალს ვერ გაუსწორებ.

სტამბულში იქაურმა არქიტექტორმა, წარმოშობით ქართველმა ჯგუშიამ გვიმასპინძლა. მის სასტუმროში გავჩერდით. საქართველოდან ჩასულ მოზარდებს სასტუმროში გვეწვივნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი, ბ-ნი ასლან აბაშიძე, თურქეთის სახელმწიფო მოხელეები და მეცნიერები. ამ შეხვედრაზე ბატონმა ასლან აბაშიძემ ცნობილი ქართველი მეცნიერის, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის პროფესორის, თურქეთის ტერიტორიაზე მოხვედრილი ქართული ძეგლების დიდი მოამაგის, ვახტანგ ჯობაძის მიერ ხელმოწერილი დიპლომები გადმოგვცა. ცხადია, სტამბულის კათოლიკური ეკლესიაც ვინახულე, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ეკლესიამ ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, როგორსაც მოველოდი. პატარა, ნაკლებად მოვლილი საყდარია. ადრე იგი მისიონერებს ეკუთვნოდა და უფრო უვლიდნენ. ახლა კათოლიკური ეკლესიის ტერიტორიაზე სასწავლო პანსიონია გახსნილი.

სტამბულის ქრისტიანულ საპატრიარქოში დიდ რელიგიურ ცერემონიას დავესწარით: ეკლესიაში დაასვენეს სვეტი, რომელზეც პილატე პონტოელის ბრძანებით ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე გაუკრავთ და გაუმათრახებიათ.

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გვიან ღამით ჩავედით. სახელმწიფო მეჯლისის (თურქეთის პარლამენტი) შენობა უნდა დაგვეთვალიერებინა, მაგრამ დავაგვიანეთ და მხოლოდ ათათურქის მავზოლეუმი მოვინახულეთ.

ართვინში ჩასულებს იქაური ქართველები შეგვეგებნენ. თავს დაგვტრიალებდნენ, ცდილობდნენ, ქართულად ელაპარაკათ, მაგრამ ჩვენ მათი გაგება გაგვიჭირდა. მასპინძლებმა იმღერეს, იცეკვეს, ფერხულში ჩვენც ჩაგვაბეს. აღფრთოვანებულები იყვნენ ჩვენთან შეხვედრით.

ართანუჯისა და ფეხათის ციხეები მოვინახულეთ. გული გეტკინება, ამ ციხეების ნახევრადჩამოქცეულ გალავანს რომ შეავლებ თვალს...

**— ლევან, მომავალ წელს სკოლას ამთავრებ. მომავალში რას აპირებ?**

— არ ვიცი. ეკონომისტის პროფესიაზე ვფიქრობდი, მაგრამ გადავიფიქრე. რა ვიცი, ერთნაირად მაინტერესებს ჰუმანიტარული და ტექნიკური მეცნიერებები. ჩემი გატაცება, ალბათ, სწავლაა. მთავარია, რომელიმე საგნით დავინტერესდე, მერე ყველაფერი თავისთავად მოდის. სხვათა შორის, საზოგადოებამ "საქართველო და გარე სამყარო" ისევ გამოაცხადა კონკურსი, რომელიც ამჯერად საბერძნეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართული კულტურის ძეგლებს შეეხება. მე ამ კონკურსშიც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

**ესაუბრა**
**ნანა**
**მახაშვილი**

## ერთი თქვენგანი

## ახალი ლექსები

# ლინა ბარათაშვილი



### ეს მე ვარ!

ეს მე ვარ!
გესმის ჩემი, მამულო?
შენი სისხლი ვარ,
ხორცი და ძვალი,
ეს შენ ამანთე
ჩირაღდანივით,
გამხადე როგორც
ნაწრთობი რვალი,
შენ არ მასწავლე?
არაფერია
ქვეყნისთვის მარტო
ლოცვა და ფიცი,
თუ აინთები,
უნდა ანათო,
გაჰფანტო
ყველა იჭვი და ნისლი!
მოვდივარ ლაღად
გესმის, მამულო?
ეს მე ვარ — შენი იმედი
ხვალის,
თუ დაგჭირდება,
აჰა, სიცოცხლეც,
შენ მომეცი და შენივე არის.
ეს მე ვარ!
გესმის ჩემი, მამულო?
შენი სისხლი ვარ,
ხორცი და ძვალი

* * *

ღმერთო, გვიმრავლე
გიორგი,
თამარი, შოთა,
დავითი!
აკვნები დაგვიწყვილწყვილე
გადაგვარჩინე ამითი...

### შეჩერდი!

დღეს ბევრი მიდის უცხოეთში
უკეთესი ცხოვრების სურვილით.
ასე როგორ მელანდება
ამ ბოლო დროს ის გორი,
ჩახერგილი, ჩაგმანული,
ანთებული დიდგორი.
დგას დავითი ხმალაწვდილი,
ომი განა ლელოა?
სიკვდილი ან გამარჯვება
უკან საქართველოა!..
თუ დაგვიდგა კვლავ
დიდგორი,
თუ დაგვჭირდა კრწანისი...
საქართველოს ვინ და როგორ
დავჭირდებით, რა ვიცი.
საქართველოს ნაწამებს და
გადამწვარს და გათელილს,
ერთად უნდა ვენაცვალოთ
მაინც ყველა ქართველი.
შენ მიდიხარ, უკან მოგდევს
გარეწარის ქირქილი,
უქართველო საქართველო,
უქართველო საქართველო,
უქართველო თბილისი.
დგას სატანა, საქართველოს
ხმალს უმიზნებს ბეჭებში,
ოღონდ მას ნუ გაახარებ,
გევედრები, შეჩერდი!

### თამარ

გულს ჰკიდია
ცას ვარძია,
ვით ლამაზ ქალს
ყელს გიშერი,
ბასიანის გმირობისთვის
ელავს ხმალი პირშიშველი...
მოხდენილი, როგორც შველი
დგას თამარი ფეხშიშველი...
ნაწამებო საქართველოვ,
თუ გიშველის,
ის გიშველის!..

### ტატოს

ობოლ სულის,
შენი სულის
სალოცავად
წინანდალი
აღმართულა
მარტო,
ბილიკი აქვს
ციცაბო და დამრეცი
გვიანია,
ნუღა მიხვალ,
ტატო!
ქორწილი აქვს
ჭავჭავაძეს სასახლეში,
დედოფლის შუქს
ჭერზე, ჭაღი ნატრობს,
სიხარულის მზე
ანთია
სასახლეში
და შენს სანთელს
დადიანი
აქრობს...
ჰა, დაიძრა
მაშხალების
მაყრიონი,
შენ კი სევდამ
მოგაკითხა
მარტო. სულის გვემას
ვაჟკაცურად
გაუძელი,
სხვით,
აბა რით
განუგეშო,
ტატო.
ბედის სასწორს
ერთხანს თითქოს
შენკენ ხრიდნენ...
ნუთუ ერთმა
გადაგძლია
მარტო?
სულში ლექსის
უმდიდრესი
საუნჯე გაქვს...
რას დაგჯაბნის
დადიანი, ტატო.
ქორწილია
ჭავჭავაძის
სასახლეში,
ვინ დაგტოვა
შენ სევდასთან
მარტო,
გზა იწყება
უვალი და ძნელი,
ვაჟკაცურად
გაუძელი,
ტატო...

### პირველი სიყვარული

ამოდის, ნათდება, ნათდება,
ცა რა საოცრად მაღლდება;
ასე რომ ხმაურობ, გულო,
მითხარი — მაინც რა ხდება?!

ვლადიმერ ბერიაშვილი

# სასჯელის განსაკუთრებული ფორმა

## (ფანტასტიკური მოთხრობა)

კოკამ უკანა ხედვის სარკეში სირენაჩართული მილიციის მანქანა დალანდა. მიწებებულივით მიჰყვებოდა. ჩაქამებულ უკაცრიელ ქუჩაზე ჩაიქროლეს და ზღვისაკენ აუხვიეს. სანაპირო გზატკეცილზე კოკამ მაქსიმალური სიჩქარე განავითარა, მერე კარი გააღო და როგორც კი მოუხვია, მანქანიდან ისკუპა. ამან ორიოდე წუთის უპირატესობა მოუტანა – ვიდრე მდევრები ხეს შენარცხებულ მანქანას დაათვალიერებდნენ და დარწმუნდებოდნენ, რომ გამტაცებელმა "გააცურა", კოკა ზღვისკენ დაეშვა, ფეხსაცმელი და პერანგი გზაშივე გაიძრო, შარვალი – უკვე წყალში და ჩაყვინთა.

გამტკნარებული მილიციელები უმწეოდ იდგნენ ზღვის პირას. შუაღამე გადასულიყო, პლაჟზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ჩაშავებულ წყლის ზედაპირზე რაიმეს გარჩევა შეუძლებელი იყო, ჩქამი არსაიდან ისმოდა, ზღვა დამნაშავე ფინიასავით გაყურსულიყო. ერთ-ერთი მილიციელი ტანსაცმლის გახდას შეუდგა – ზღვაში შესვლა დააპირა, მაგრამ მეორემ შეაჩერა და ნავების გასაქირავებელი პუნქტისაკენ გაიქცა. ძახილზე არავინ გამოეხმაურა, დარაჯიც არ ჩანდა. მანქანიდან ძალაყინი გადმოიღო, ფარდულს საკეტი ააგლიჯა და ნიჩბები გამოიტანა, მერე ორივენი ნავში ჩასხდნენ და შეცურეს, მაგრამ იმ უკუნეთში რას გააწყობდნენ, ხელი ჩაიქნიეს და ნაპირზე დაბრუნდნენ.

კოკა თევზივით ცურავდა, წყალქვეშ წუთზე მეტხანს შეეძლო დაყოვნება. დროდადრო წყლიდან ცხვირს ამოჰყოფდა, ჩაისუნთქავდა და ისევ ჩაყვინთავდა. გეზზე მაინცდამაინც არ ზრუნავდა, მთავარი იყო, ნაპირიდან რაც შეიძლება შორს გაეცურა. ნიჩბების ხმა რომ მოესმა, საკმაოდ შორს იყო, გუნებაში ჩაიცინა და ისევ ჩაყვინთა.

არა, ბოლო დროს ბედი ნამდვილად არ სწყალობდა. უკანასკნელი სასჯელის მოხდის მერე, საკუთარი უნიკალური ნიჭის იმედით "სამუშაოდ" თბილისის ზღვის შემოგარენი აირჩია. დაკვირვებული იყო, მდევარი, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, როგორც წესი, ზღვის წინაშე ვერაფერს აწყობდა ხოლმე, ხოლო მანქანების ერთი გამტაცებლის უვნებელსაყოფად ზღვის გარშემო დაცვას ნამდვილად არავინ დააყენებდა, ამისათვის მთელი ქალაქის მილიციის კონტინგენტიც არ იკმარებდა. ტაქტიკამ კი გაუმართლა, რამდენჯერ გადაურჩა შეპყრობას, მაგრამ, საქმეს რომ ველარა და ველარ აგვირგვინებს?! ცხოვრებას, ნაღდ ცხოვრებას უამრავი ფული სჭირდება, ის კი უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში უკვე მეოთხედ ყვინთავს... ვითომ ამპლუა შეიცვალოს? გვიანია. მაშ, პატიოსან შრომას შეუდგეს და პურითა და წყლით დაკმაყოფილდეს?! არა, გამორიცხულია! მას "ნამდვილი ცხოვრება" სურს! რა თქმა უნდა, მშვენივრად იცის, რომ შეიძლება კოკა წყალზე გატყდეს, მაგრამ ისიც იცის, რომ ყველა კოკა არ ტყდება წყალზე, კაცი კი იმედით არის...

ფიქრში გართულს, სულ გადაავიწყდა, წყალქვეშ რომ იყო. მკერდი ეტკინა, დაჩუტულმა ფილტვებმა შეახსენა, თევზი



რომ არ იყო და ქანგბადი მოსთხოვა. ამოყვინთა, დაიფრუტუნა, თავი გააქნგამოაქნია და გაოცებულმა მიმოიხედა. შუადღის მზის სხივები წყლის მომწვანომოცისფრო სარკეს ელაციცებოდა, პლაჟი ხალხით გაჭედილიყო, ნაპირიდან მსუბუქი მუსიკის ხმა მოისმოდა. კოკამ თვალები მოხუჭა და უმალვე გაახილა, ხომ არ მომეჩვენაო, მაგრამ არა, არ მოსჩვენებია. მოულოდნელად მთელ სხეულში საოცარი სისუსტე იგრძნო, თავზე ტალღამ გადაუარა, აფართხალდა, ხველა აუვარდა. მის სიახლოვეს ნავი შეჩერდა, მხარბეჭიანმა, მზეზე გარუჯულმა კაცმა ხელი გაუწოდა.

– ნაპირისაკენ ხომ არ დაგვემგზავრებოდით?

კოკა გაოგნებული მიაჩერდა.

– დაღლილი გამოიყურებით, მობრძანდით, ნუ გერიდებათ.

მის გარდა ნავში ორნი ისხდნენ. კოკა ნავის კიჩოზე მიიყუჟა, კრიჭა შეკვროდა, მუხლები უკანკალებდა.

– გმადლობთ, – ჩაილუღლუღა კოკამ, როცა ნაპირს მიადგნენ.

– რას ბრძანებთ, რისი მადლობა... – გაუღიმეს და ნიჩბებს დააწვნენ, ისევ ზღვაში გავიდნენ. ერთხანს უაზროდ იბოდიალა ნაპირზე. საგონებელში ჩავარდნილს ვერაფერი გაეგო. პლაჟზე ხალხი მატულობდა. რა ხდება? რა ამბავია მის თავს? იქნებ ვინმეს ჰკითხოს? მაგრამ – რა, რა ჰკითხოს, შუაღამე შუადღედ როგორ იქცაო? სანაპირო ზოლი ისე შეცვლილიყო, რომ ვერც ის ადგილი იპოვა, სადაც წუხელ ფეხსაცმელი და პერანგი დაყარა და ვერც ის, საიდანაც ზღვაში შეცურა.

გზის პირას ლოდზე ჩამოჯდა. აზიდებდა, თავბრუ ეხვეოდა. ანაზდად მის წინ ავტომანქანამ დაამუხრუჭა, კოკამ მარკა ვერ იცნო.

– მგონი, რაღაც პრობლემა გაწუხებთ, – მძღოლმა ფანჯარაში თავი გამოყო და გაუღიმა.

კოკამ თავი გააქნია და სწრაფად მიმოიხედა – იმ შემთხვევისათვის, თუკი მძღოლი ორგანოს მუშაკი აღმოჩნდებოდა, უკან დასახევი გზა უნდა მოენიშნა. უცნობმა იფიქრა, ალბათ ყრუაო და ახლა ჟესტებით გაუბა საუბარი.

კოკას გაეცინა.

– არა, ყრუ არა ვარ, უბრალოდ, ასე, საცურაო ტრუსების ამარა ხომ ვერ ვიქნები?!

– ჰოო... ნავზე ტანსაცმლით არ უნდა დამჯდარიყავით... – უცნობმა კოკა ყურადღებით შეათვალიერა, მერე რაღაც გადაწყვიტა, ტანზე გაიხადა და გაოგნებულს ხელში ძალით ჩასჩარა თავისი შარვალ-ხალათი.

– ჩაიცვით, შინაც ჩემი მანქანით წაბრძანდით. მე კი ცოტას გავგრილდები და მერე... აქვე, ახლოს ვცხოვრობ, ასეც მშვენივრად მივალ. სამსახურში შეატყობინეთ, რომ მანქანა დილის შვიდ საათამდე არ დამჭირდება, ნუ იჩქარებენ.

უცნობი ზღვისაკენ გაიქცა და წყალში ჩადგაფუნდა.

– ეი, ძმაკაც! – დაუძახა კოკამ, მაგრამ უცნობი უკვე ჭყუმპალაობდა და ძახილი არ გაუგონია. – სულელია ვიღაც!.. ალბათ, ჰგონია, რომ ნავი გადამიბრუნდა... კი, ბატონო, ვიცი, რომ ქართველი კაცი მოყვასისთვის უკანასკნელ პერანგს გაიხდის... უფრო სწორედ, იხდიდა, მაგრამ მანქანასაც თუ აყოლებდა, ამის თაობაზე არაფერი გამიგონია. ჰო, მართლა, ნეტა რა "სამსახურზე" ბჟუტურობდა? რა ხდება, არ ვიცი... ნაღდად გავგიჟდები რა! – ფიქრობდა კოკა და ბორბლების ქვეშ რბილად მოშრიალე გზატკეცილს გასცქეროდა. თუმცა, მალე უცნობიც გადაავიწყდა და მისი ახირებულობაც.

დადიოდა ქალაქის ქუჩებში და ვერაფერი გაეგო. ეგონა, რომ თბილისს კარგად იცნობდა, – მისი "პროფესია" მოითხოვდა ამას – მაგრამ ქალაქის იერი ძირფესვიანად შეცვლილიყო. ცენტრში მხოლოდ რამდენიმე შენობა იცნო: უნივერსიტეტის ძველი კორპუსი, ფილარმონია, მთავრობის სასახლე... უსახური შენობები სადღაც გამქრალიყო, მათ ალაგას არქიტექტურული ზღაპრები იდგა, კოკა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მაგრამ ორი ერთნაირი შენობა არ შეუმჩნევია. რომ არა ქუჩების ქართული სახელები და რეკლამა, იფიქრებდა, სადღაც სხვა ქვეყანაში მოვხვდიო. ერთგან მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა და გამზირის გარდიგარდმო გადაჭიმულ უზარმაზარ ტრანსპარანტს გაოგნებული მიაჩერდა. კითხულობდა შინდისფერ ქსოვილზე აქათქათებულ ასოებს, მაგრამ ნაწერის აზრი ძნელად აღწევდა გონებამდე:

"მეგობრებო, გიწვევთ ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მე-200 წლისთავთან დაკავშირებულ დიდ ზეიმზე".

შუა ქუჩაში გახირულ მანქანას ტრანსპორტის ნაკადი უჩუმრად უვლიდა გვერდს და საკუთარი გზით მიიჩქაროდა. ერთ-ერთი მანქანა შეჩერდა და მძღოლის თანამგზავრმა გაოგნებულ კოკას მიმართა:

– მაპატიეთ, მეგობარო, მაგრამ თქვენი მანქანა საერთო მოძრაობას ხელს უშლის.

კოკამ აკანკალებული თითი ტრანსპარანტისაკენ გაიშვირა.

– გეტყობათ, სტუმარი ბრძანდებით,

დღეს ჩვენი დასკვნითი დღეა, ძალიან საინტერესო სანახაობა იქნება, გირჩევთ, დაესწროთ. გზა არ გეცოდინებათ, ჩვენ გამოგყვებით. ეროვნულ სტადიონამდე მიგიყვანთ.

– კი მაგრამ... რო...მელი წელია ახლა? – ძლივს ამოღერღა კოკამ.

მძღოლმა და მგზავრმა ერთმანეთს გადახედეს, მერე მგზავრი მანქანიდან გადმოვიდა, კოკას სთხოვა, მარჯვენა სავარძელზე გადამჯდარიყო, თავად საჭესთან დაიკავა ადგილი და მანქანა დაძრა. საბოლოოდ დაბნეული კოკა საზურგეზე გადაწვა.

– რომელი წელია? – ძლივს ამოთხრიალა.

– ჩვენ ახლა ერთ დაწესებულებაში მივალთ და იქ ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნიან.

– ალბათ, მილიციაში? – მწარედ ჩაიცინა კოკამ.

– მილიციაში? – გაკვირვებით აღმოხდა თანამგზავრს. – ჩვენში ასეთი დაწესებულება კარგა ხანია, აღარ არსებობს. ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში მივდივართ, იქ დაისვენებთ, დამშვიდდებით... ფიქრი ნუ გაქვთ, არაფერს გავნებენ.

– საგიჟეთში??? – კოკას "სამეცნიერო დაწესებულების" გაგონებაზე თითქოს ხელი ჰკრესო, გამოფხიზლდა. მძღოლს ყელში სწვდა და დახრჩობა დაუწყო. – გიჟი არა ვარ, არა! – დუჟმორეული გაიძახოდა, მძღოლს აჭანჭყარებდა და თავს საზურგეზე არახუნებინებდა.

მძღოლმა იმარჯვა, მანქანა დაამუხრუჭა, თუმცა, ეს მკვეთრად გამოუვიდა და უკანიდან მომავალი ავტო ზედ შეასკდა. აჯარიის ადგილას უმალ მოგროვდა ხალხი. გამძვინვარებული კოკა მანქანიდან გადმოსვეს, გაკოჭეს და წამის წინათ ქალაქის თავზე ნებივრად მობოდინე, ახლა კი იქვე დაშვებულ წითელჯვრიან შვეულმფრენში დაასვენეს. კოკამ გრძნობა დაკარგა.

* * *

შემდგომი დღეები ფერად-ფერად ბურუსში გაატარა.

იისფერი ბურუსი მაჯლაჯუნასავით აწვა, სულს უხუთავდა, ნებისყოფას ართმევდა. მელანქოლია ეუფლებოდა, სინამდვილეს ვერ აღიქვამდა, ყველაფრის მიმართ ინდიფერენტული ხდებოდა. ასეთ დროს ფსიქოლოგი ვერაფერს ხდებოდა, ყველა მისი ცდა, "ამ ქვეყნისაკენ შემობრუნებინა პაციენტი", უშედეგოდ მთავრდებოდა.

წითელი ბურუსის დროს ყველაფერი სტკიოდა – თმის ძირებიდან დაწყებული, ფეხის ფრჩხილებამდე. ტკივილისაგან გატანჯული ყვიროდა, ხელ-ფეხს გამეტებით ურტყამდა საწოლს, ხელში მოხვედრილ საგნებს კედელს ახლიდა... და მაშინ თეთრხალათიანი "ანგელოზები" ევლინებოდნენ, რომელთა უბრალო შეხებაც კი სიმშვიდეს უბრუნებდა. წითელ ბურუსს ანგელოზებისა ეშინოდა და მალე იხევდა უკან.

წითელის მერე, როგორც წესი, თეთრი ბურუსი ეწვეოდა. ამ დროს წყნარდებოდა, სიმშვიდე ეუფლებოდა, ყველას და ყველაფერს უღიმოდა და მასთან კონტაქტი ადვილდებოდა. სწორედ ამ მონაკვეთს იყენებდა დაწესებულების პერსონალი მისი გამოკვლევისათვის.

* * *

– ბატონო ცოტნე, ჩვენი დასკვნა ასეთია – თქვენი დაცემა მაშინ დაიწყო, როცა დიდებულ ქართულ სახელს ყოვლად უხეირო "კოკა" ამჯობინეთ! საგულისხმოდ გვეჩვენება ასეთი ვარიანტი: უკვე დაცემულმა, მიხვდით რა, რომ თქვენი საქმიანობა, ეროვნული გმირის სახელს ბღალავდა, გადაირქვით იგი. მეორე ვარიანტი, რა თქმა უნდა, უფრო სასურველია, თუნდაც იმიტომ, რომ უფრო მეტ იმედს იძლევა.

ფართო ოთახში ერთადერთი მერხი და კათედრა იდგა, კედლებზე გამოჩენილ ადამიანთა სურათები ეკიდა. კოკა-ცოტნეს ბევრი მათგანი სკოლიდან ახსოვდა, ზოგიერთს კი პირველად ხედავდა. კათედრაზე წარმოსადეგი, შავწვერიანი, ასკეტური სახის ახალგაზრდა კაცი იდგა და დაბალი, ხავერდოვანი ხმით ესაუბრებოდა.

– ბატონო ცოტნე, ვითარება ასეთი გახლავთ, – თქვენ თქვენი დროიდან მყისიერად 2191 წელში მოხვდით. ეს ხდება ხოლმე...

– როგორ?! ესე იგი, გამოდის, რომ ერთადერთი არა ვარ?

– არა, რა თქმა უნდა. თქვენი დრო, ასე ვთქვათ, მეტისმეტად მუქ ფერებში მიედინებოდა, სატანის ნიშნით იყო აღბეჭდილი. ბევრი ვერ უძლებდა მოუწყობელ, ნერვულ, აგრესიულ, პიროვნების დამთრგუნავ გარემოს და პროტესტის ნიშნად ტოვებდა იმ ქვეყანას... თქვენ და თქვენი თანამედროვეები ფიქრობდით, რომ ეს სამუდამოდ ხდებოდა. ჩვენ კი ძველ სამარხებში ბევრ გაუხრწნელ სხეულს ვპოულობთ, შემდგომში კი მათ გაცოცხლებასაც ვახერხებთ.

თქვენი საქმე კი ცოტა სხვანაირად გახლავთ. თქვენ ერთ-ერთი იმათგანი იყავით, ვინც ამ აგრესიულ გარემოს, ცხოვრების აუტანელ პირობებს ქმნიდა. ჩვენ ზედმიწევნით შევისწავლეთ თქვენი პიროვნება, დავადგინეთ კაცობრიობის წინაშე თქვენი დანაშაულის მთელი სიმძიმე და გადავწყვიტეთ სასჯელის განსაკუთრებული ფორმა შეგვეფარდებინა.

– უმაღლესი ზომა?! – ცოტნე წამოხტა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, – მაგრამ მე ხომ კაცი არ მომიკლავს!

– დაწყნარდით, უმაღლესი ზომა კი არა, განსაკუთრებული ფორმა. ნუ ღელავთ, თქვენი სიცოცხლის ხელყოფას არავინ აპირებს, რამეთუ უფლის მიერ ბოძებულის წართმევის ნება არავის აქვს, და ეს არც არის საჭირო! გვინდა განგიმარტოთ, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა ადამიანის ფსიქიკის მყისიერი გარდაქმნა გახლავთ, რაც საგანგებო დანიშნულების სამედიცინო აპარატურით მიიღწევა. ამ საშუალებას მაშინ მივმართავთ, როცა ადამიანის გარდაქმნის სხვა საშუალებები უძლურია. ეს, რა თქმა უნდა, არაჰუმანური ზომაა, რამეთუ ფსიქიკას გარკვეული ინერცია გააჩნია. მყისიერად გარდაქმნილი სურვილისა და შთაგონებული აკრძალვის სცილასა ქარიბდას შორის ხვდება და მას აღარ ძალუძს ზნეობრივი ნორმების ჩარჩოდან გამოსვლა და ვიდრე ამას მიეჩვეოდეს, მასში დაუკმაყოფილებლობის, გარკვეული დისკომფორტის გრძნობა ღვივს და ბობოქრობს. დავრწმუნდით რა, რომ ჯერ კიდევ არსებობს თქვენი გამოსწორების იმედი, გადავწყვიტეთ, სასჯელის განსაკუთრებული ფორმა მოგვესადაგებინა, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმეწლიანი აღმზრდელობითი კურსი უნდა გაიაროთ. გარდაქმნა დროთა განმავლობაში, თანდათანობით მოხდება, თქვენ მოასწრებთ ადაპტირებას და, ამდენად, დეპრესია, დისკომფორტი გამორიცხულია, თუმცა ამისათვის დიდი შრომა, ძალების უკიდურესი დაძაბვა მოგიწევთ, ჩვენ მხოლოდ დაგეხმარებით, სამუშაოს ძირითადი ნაწილი კი თავად უნდა შეასრულოთ.

– მოიცა, მოიცა, ძმაკაც! მე აქ მარტო ვიქნები?

– აქ კი ნამდვილად ვერაფრით დაგეხმარებით, მეგობარო, თქვენს ზნეობრივ ფენომენს საქართველოში აგერ უკვე საუკუნე ნახევარია, პრეცედენტი არა აქვს და...

– რაო, როგორ თქვით? – ჩაეკითხა ცოტნე, რომელმაც ნათქვამის აზრი ვერ გაიგო.

– როცა ამ სიტყვების აზრს ჩასწვდებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქმის ნახევარი გაკეთებულია, – ასკეტმა ამ საუბრის განმავლობაში პირველად გაიღიმა და ცოტნემ აღმოაჩინა, რომ ღიმილი ძალიანაც უხდებოდა. – ახლა კი... – მოძღვარი ოდნავ შეყოვნდა, – საერთოდ, პირველი ლექციის დაწყება ღმერთის არსის განმარტებით მქონდა განზრახული, მაგრამ თქვენმა სახელმა ლექციების სხვა თანამიმდევრობით წარმართვა გადამაწყვეტინა. მგონია, არ შევცდები, თუ თავდაპირველად ცოტნე დადიანსა და ქართველი ერისათვის მისი ზნეობრივი მაგალითის მნიშვნელობაზე მოგითხრობთ...





ტესტი გოგონებისათვის

# ...და თუ ეს ნამდვილი სიყვარულია

1. თუ ბიჭი მოგწონს, მაშინ ასე მოიქცევი:

ა) მოვიცდი, ვიდრე თვითონ მიხვდება ამას – 1

ბ) ვაგრძნობინებ, რომ მომწონს – 3

გ) ვეცდები, ხშირად შევხვდე ხოლმე – 2

2. თეატრში ან კონცერტზე ხარ და აღმოაჩენ, რომ შენი ოცნების ჭაბუკის გვერდით სკამი თავისუფალია. შენ...

ა) გვერდზე მიუჯდები – 2

ბ) ამასთან რაღაც სასიამოვნოს ეუბნები მას – 3

გ) დაჯდომას ვერ ბედავ – 1

3. ერთხელ იმ ბიჭმა, რომელიც მოგწონს, გითხრა ლამაზი თმები გაქვსო. შენ...

ა) სხვა ფერად იღებავ თმებს – 2

ბ) მადლობას უხდი კომპლიმენტისათვის – 3

გ) ეუბნები, თავის მოვლა ძნელიაო – 1

4. გაკვეთილებზე მას ხშირად უვარდება კალმისტარი და წამდაუწუმ იხრება მის ასაღებად.

შენ ფიქრობ:

ა) რა ხელთუპყარიაო! – 1

ბ) უხერხულობაში მაგდებსო – 2

გ) ჩემი ფეხების დანახვა უნდაო, – 3

5. მეგობრების წრეში, როცა ცეკვის დრო მოდის, შენ...

ა) ვინც მოგხვდება, იმას ეცეკვები – 1

ბ) თეთრ ცეკვას ელოდები – 3

გ) არავის არ ეცეკვები – 2

6. ის, ვინც შენ დაგაინტერესა, ვერ იტანს წითელ ფერს, არადა, ეს შენი საყვარელი ფერია. შენ...

ა) დაუყოვნებლივ ივიწყებ ამ ფერს – 3

ბ) ეცდები, შეეკამათო – 1

გ) საკუთარ გარდერობს გადაახალისებ – 2

7. მოულოდნელად დაინახე, რომ შენი დაქალი შენს ბიჭს ეცეკვება. შენ...

ა) სცენას უწყობ – 2

ბ) ტირი – 3

გ) სხვას ეცეკვები – 1

8. პაემანზე ყოველთვის ...

ა) 15 წუთით იგვიანებ – 1

ბ) 15 წუთით ადრე მიდიხარ – 3

გ) დროზე მიდიხარ – 2

9. როცა საკუთარ სასიყვარულო თავგადასავლებზე ჰყვები, შენ...

ა) ალამაზებ, აზვიადებ – 2

ბ) თავს იკავებ, ყველაფერს არ ამბობ – 1

გ) მეორდები – 3

10.წარმოიდგინე, რომ შენ ის გიყვარს, მას კი სხვა უყვარს. შენ ეუბნები შენს თავს:

ა) როგორც ყოველთვის – 1

ბ) ასეთი რამეც ხდება ხოლმე –2

გ) ეს შეუძლებელია – 3.

**დააჯამეთ ქულები**

**10–12 ქულა.** შენ სიყვარულის ნიჭით ხარ დაჯილდოებული, ოღონდ არ იცი ამის შესახებ, რადგანაც მისი გამომჟღავნების შემთხვევა არ გქონია. გული ნუ დაგწყდება იმაზე, რომ შენ მძინარე მზეთუნახავი ხარ, მაგრამ დიდებული გამოღვიძება გელის.

**13–20 ქულა.** შენ სიყვარულის ნიჭით ხარ დაჯილდოებული, მაგრამ ჯერ მთლად "აწყობილი" არა ხარ ამ გრძნობისათვის. ამ ნიჭს განვითარება სჭირდება. იმისთვის, რომ შენს რჩეულს თავი მოაწონო, ბევრი რამ უნდა ისწავლო.

**21–30 ქულა.** შენ არამცთუ გაგაჩნია სიყვარულის ნიჭი, არამედ ჭეშმარიტად ამ გრძნობისათვის ხარ დაბადებული. ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, ინსტიქტურად, ყოველთვის იცი, როგორ უნდა მოიქცე რათა საყვარელ ადამიანს თავი მოაწონო. ისეც ხდება ხოლმე, რომ ისეთ ვინმეს მოსწონხარ, ვინც შენ გულში არ ჩაგქრის, მაგრამ ესეც კი გსიამოვნებს.



# ბათუმის მე-9 საშუალო

მე-9 საშუალო სკოლა სახელოვანი ტრადიციებით არის ცნობილი მთელ ბათუმში. დღეს ამ ტრადიციებს 1650 მოსწავლე და 107 მასწავლებელი აგრძელებს და ამდიდრებს. სკოლა 1947 წელს გაიხსნა ბათუმის ცენტრში, გორკის ქუჩაზე (ამჟამად ერას ქუჩა). მაშინ მას მე-9 ქალთა ერქვა (მაშინ გოგონები და ვაჟები ცალ-ცალკე სწავლობდნენ) და მისი პირველი დირექტორი საქართველოში განთქმული ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი თამარ მაჭუტაძე გახლდათ. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე პროფესორ-მასწავლებლები ქალბატონი თამარის ნამოწაფარ გოგონებს ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" შესანიშნავი ცოდნით ცნობდნენ.

სკოლის კურსდამთავრებულთა დიდ ნაწილს მიღებულ ცოდნასთან ერთად, ოცნებაც მიჰყვებოდა, ისეთები გამხდარიყვნენ, როგორებიც მათი სათაყვანო პედაგოგები იყვნენ. ბევრმა კიდეც აისრულა ეს ოცნება — სკოლის ამჟამინდელი დირექტორი ლამარა ფურცხვანიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო სურმანიძე, ორგანიზატორი ირმა თოდრია მე-9 სკოლის იმ კურსდამთავრებულებს მიეკუთვნებიან, რომლებიც მშობლიურ სასწავლებელს დაუბრუნდნენ და გვერდში ამოუდგნენ თავიანთ მასწავლებლებს, მათი კოლეგები გახდნენ.

80-იანი წლების ბოლოს მე-9 სკოლას ბათუმის ახალ უბანში გამოუყვეს შენობა და სკოლამ ქალაქის ცენტრიდან მოშორებით გადაინაცვლა. ადგილმდებარეობა კი შეიცვალა, მაგრამ სკოლა დღესაც არ ღალატობს ნახევარსაუკუნოვან ტრადიციებს — მასწავლებლები სიამაყით ყვებიან თავიანთი ნამოწაფურებისა და დღევანდელი მოსწავლეების წარმატებებზე. წელს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ბათუმის მე-9 სკოლის კურსდამთავრებულებმა, ჩვეულებისამებრ ასახელეს მშობლიური სკოლა: სულხან ხალვაში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტი და იმავდროულად მემედ აბაშიძის სახელობის სტიპენდიატი გახდა; ირაკლი ფუტკარაძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები; მარიკა ფურცხვანიძე თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტი გახდა; მოსწავლეთა მათემატიკურ ოლიმპიადაზე არაერთგზის გამარჯვებული დავით ხილაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე უგამოცდოდ ჩაირიცხა...

მეცხრეკლასელთა გუნდი ზედიზედ 3 წელია იმარჯვებს დასავლეთ საქართველოს მასშტაბით გამართულ ნორჩ ინტელექტუალთა კონკურსში "ინტელექტ-რინგი". შარშან ამ კონკურსის საუკეთესო მოაზროვნედ მე-9 სკოლის მოსწავლე (ამჟამად უკვე სტუდენტი) სულხან ხალვაში აღიარეს.

სკოლის მასწავლებლებმა მარჯვედ აუწყვეს ფეხი დროს, სასკოლო რეფორმებს და დღეს ტრადიციულ, ნაცად მეთოდებთან ერთად, ახალსაც გაბედულად მიმართავენ სწავლების პროცესში. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო სურმანიძე და ისტორიის მასწავლებელი ირმა თოდრია უკვე დარწმუნდნენ ეგრეთ წოდებული "კომბინირებული" გაკვეთილების ეფექტურობაში. მათი აზრით, ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ეპოქის ისტორიული, სოციალური და კულტურული თავისებურებების მიმოხილვა ძალიან ეხმარება მოსწავლეებს მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლაში.

მოსწავლეთა უმრავლესობა გაკვეთილების შემდეგ შინ წასვლას არ ჩქარობს. გოგო-ბიჭები სკოლის კედლის გაზეთს "სერაფიტას" ჩაჰკირკიტებენ, სადაც თავიანთ პირველ ლექსებსა და მოთხრობებს აქვეყნებენ, სკოლისა და საკუთარ პრობლემებზე წერენ, მეგობრულ შარჟებს ხატავენ. სკოლის მოსწავლეთა ინიციატივით რამდენიმე წლის წინ ჩამოყალიბდა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი "მერეთი", რომელიც უკვე ქვეყნის გარეთ, კერძოდ, დონეცკში გახლდათ გასტროლებზე. წელს ანსამბლმა თბილისში გამართულ მოსწავლეთა ახალგაზრდობის რესპუბლიკურ ფესტივალზე საპატიო მე-2 ადგილი მოიპოვა, ხოლო "მერეთელების" მიერ შესრულებულმა "აჭარულმა სუიტამ" მაყურებლების აღფრთოვანება გამოიწვია. მოსწავლეების შემოქმედებითმა წარმატებამ მასწავლებლებსაც აფიქრებინა საკუთარი შემოქმედებით წარმდგარიყვნენ საზოგადოების წინაშე. პედაგოგიურმა კოლექტივმა მოამზადა საკონცერტო პროგრამა "ხუმრობენ და მღერიან მე-9 სკოლის მასწავლებლები". ბათუმელებმა დიდად მოიწონეს მასწავლებლების ცეკვა-სიმღერა, ყველაზე მხურვალე ტაშით კი ისინი მათმა მოსწავლეებმა და კოლეგებმა დააჯილდოვეს. მხატვრულ შემოქმედებაში კი გაეჯიბრნენ აღმზრდელები საკუთარ აღსაზრდელებს, მაგრამ სპორტისა რა მოგახსენოთ. სკოლის კურსდამთავრებულთა შორის ბევრი ცნობილი სპორტსმენია. ნიკოლოზ ფურცხვანიძე ფეხბურთში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია; კახა კობიძე ბათუმის ფეხბურთის კლუბ "დინამოში" თამაშობს; მისი ძმა — ზურაბ კობიძე აჭარის ნაკრების წევრია.

"საქართველოს სხვა სკოლების მსგავსად, ჩვენც უამრავი პრობლემა გვაქვს, — გვიამბობს სკოლის დირექტორი ქალბატონი ლამარა ფურცხვანიძე, — ბიუჯეტის მწირი თანხით დღეს სკოლაში ლურსმანსაც ვერ მიაჭედებ. მე-10 და მე-11 კლასებში ყოველთვიურ გადასახადს — 10 ლარს მხოლოდ ძალიან ზარმაცი მოსწავლეების მშობლები იხდიან. ფრიადოსნებისა და კარგოსნებისთვის სწავლა უფასოა. ჩვენი სკოლის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენენ აჭარის განათლების მინისტრი, ქალბატონი ნანი გუგუნავა, ბათუმის მერი ბატონი ასლან სმირბა და ვიცე-მერი, ბატონი რევაზ აბაშიძე. გასულ ზამთარს ქალაქის მერიამ სკოლის გასათბობად უსასყიდლოდ გადმოგვეცა ნავთქურები და 2 ტონა ნავთი, მასწავლებლებმა ჰუმანიტარული დახმარება — პროდუქტებიც მიიღეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ბატონი ასლან აბაშიძე ყოველი წლის ბოლოს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საახალწლო საჩუქრებს გადმოგვცემს"...

ბათუმის მე-9 სკოლას დღეს ისევე უჭირს და ულხინს, როგორც საქართველოს სკოლების უმრავლესობას, მაგრამ აქაური მოსწავლე-მასწავლებლები უკეთესი მომავლის იმედით გულს არ იტეხენ და სულ იმის ცდაში არიან, საქვეყნო საქმეში საკუთარი წვლილიც შეიტანონ.

**ნანა მაჟაშვილი**

**ქ. ბათუმი**

# რა და რა ჰქვია რას და რას

## სადურგლო იარაღები

1. ორხელა შალამინი (რანდი) ფიცრის სიფართით გასასუფთავებლად იხმარება.
2. საცალხელო შალამინი ფიცრის გვერდების გასასუფთავებელია.
3. ბოყვი კედლების თავის შიგ მოსათავსებლად კეთდება, საღრმავი კი მისი ამოსაჭრელია.
4. ხუშტარა ფიცრის გასამართავია.
5. გაბმული ხერხი გრძელი ფიცრის ჩასახერხია.
6. ცალხელა ხერხი მოკლე ფიცრების ჩასახერხად იხმარება.
7. ბირდაბირი ხის გადასახერხად არის მარჯვე.
8. სატეხი ამოსატეხად (ურმის თვლებში სოლების გასაკეთებლად ან ფიცარში რაიმეს ჩასასმელად) იხმარება.
9. პირთხელი მარჭვლების შესაჭრელი იარაღია.



5. გაბმული ხერხი



6. ცალხელა ხერხი



7. ბირდაბირი ხერხი



1. ორხელა შალამინი (ხანდი)



2. საცალხელო შალამინი



8. სატეხი


9. პირთხელი


3. ბოყვის საღრმავი


4. ხუშტარა

# რატომ ვამბობთ ასე?

**აინუნში მოსვლა,** დანახვა, მოწონება, რაღმე მიჩნევა, ანგარიშის გაწევა. აინუნი არაბულად თვალებს ნიშნავს, გამოთქმა "აინუნში მოსვლა" კი თვალში მოსვლას.

**აირია მონასტერი** ამ გამოთქმას მაშინ ვხმარობთ, როცა გვინდა ვთქვათ, რომ არეულობაა, ერთხელვე შემოღებული წესი და რიგი დაირღვა, უმცროს-უფროსობა უგულებელყოფილია. ძველად მონასტრებში ცხოვრების მკაცრი წესები სუფევდა, რომლებიც უპირველესად უმცროსის უფროსისადმი სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებას გულისხმობდა. თუ ეს წესები დაირღვეოდა, მონასტერში არეულობა დაიწყებოდა.

**ბაგრატ მეფე მომკვდარაო** ჭორიკანობა, ტყუილის მოგონება. მეფე ბაგრატს ძალიან ჯავრებია ჭორიკნობა და მის ასალაგმავად ყველა მეჭორე დედაკაცი დაუჭერინებია და ერთ ბოსელში დაუმწყვდევინებია. ჩამომსხდარიყვნენ გაკაპასებული ჭორიკნები ბაგაზე და წუწუნებდნენ. ერთს მეორისათვის ჩუმად უთქვამს: "ბაგამ ტ... მატკინა, ქა..." მეორეს თურმე ნათქვამი ასე მოესმა: "ბაგრატ მეფე მომკვდარაო" და უმალ მესამესთვის გადაუცია: "გაიგე, ქა, ბაგრატ მეფე მომკვდარაო". მესამეს მეოთხესთვის გადაუცია: "გაიგე? ასე და ესა მომხდარაო". როცა ამბავს ყველა მოუვლია, ჯერ ქოთქოთი ატეხილა, მერე კი გახარებულ ჭორიკნებს ფერხული დაუვლიათ და თან დაუმღერებიათ: "დილილმე, დილილმე, ბაგრატ მეფე მომკვდარაო, ის სულძაღლი, წაწყმედილი, ჩვენის ცოდვით დამწვარაო". ეს ამბავი გარეთაც გამოსულა და მეფის ყურამდეც მისულა. მეფეს უფიქრია, საშველი არა ყოფილაო და დამწყვდეული დედაკაცები გამოუშვებინებია.

დღეს, როცა ვინმე მოჭორილ, სიმართლეს მოკლებულ რამეს იტყვის, ვეტყვით: "ბაგრატ მეფე მომკვდარაო" და ამით ვაგრძნობინებთ, რომ მის ნათქვამს ვერ ვიჯერებთ.

**ეგ არის და გორის ციხე!** გორის ციხე ცნობილია ნაგებობის სიმტკიცით და მტრისაგან აუღებელ თავმოსაწონებელ ციხედ ითვლება. ყოველ კარგად გაკეთებულ საქმეს, როცა უნდოდათ მისი უნაკლობა გამოეხატათ, გორის ციხეს დაადარებდნენ. ისე რომ "გორის ციხე" გადაიქცა სიმკვიდრის, სიმტკიცის, უძლეველობის, სიმართლის სინონიმად.

# ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა...

# კირიონ II



ოთხმოცი წლის წინ, 1918 წლის 26 ივნისს მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში, თავისსავე საწოლ ოთახში მოკლული იპოვეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. საქართველომ დაკარგა ერთი თავდადებული მამულიშვილი, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, დიდი მეცნიერი და დიდებული პიროვნება.

აი, რა ჩაუწერია თავის დღიურში ამ ფაქტთან დაკავშირებით დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს: "...ხმა დაუყარეს, თავი მოიკლაო!"

პირზე ჭიქა ვერ მიჰქონდა წყლის დასალევად. ასეთი ხელით მწოლიარემ რევოლვერი დაირტყა და თავი მოიკლაო! რევოლვერიც იქვე ეგდო ცხედართან, რევოლვერი დაკეტილი იყო. როგორ, თავი მოიკლა და რევოლვერი დაკეტა, გვერდზე დაიგდო? ასეთი დასკვნა გამოიტანა "გამოძიებამ"... დიდძალი ხალხის თანდასწრებით გადავიხადე პანაშვიდი, ჯერ წარმოვთქვი მეტად აღგზნებული სიტყვა იმის თაობაზე, მოწმე ვიყავი იმ არაადამიანური, გაიძვერული, მეფისტოფელური დევნა-შევიწროებისა, რომელიც წილად ხვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურ უფლებებში აღდგენილ მის პირველ კათალიკოზს ექზარხოსების დროს ჯაშუშ დეკანოზებისა და მექრთამე მოხელეებისაგან..."

მთელმა სამწყსომ მიაცილა კირიონი საუკუნო განსასვენებლამდე, სიონის ტაძრამდე.

კირიონი, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი 1955 წლის 1 იანვარს დაიბადა გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზში, სასულიერო პირის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ანანურის საეკლესიო სკოლაში მიიღო, მერე ჯერ გორის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, შემდეგ კი თბილისისაში. ყმაწვილი გულმოდგინედ ემზადებოდა სამშობლოს სამსახურად — სწავლობდა საქართველოს ისტორიას, ქრისტიანული ეკლესიის წარსულს, იკვლევდა ქართული კულტურის საკითხებს. 25 წლისამ წარჩინებით დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია და ცოტა ხანს ოდესის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლობდა. საქართველოში დაბრუნებული კი თელავის, გორის, ქუთაისის, თბილისის სასულიერო სემინარიებში ასწავლიდა ყმაწვილებს ქართულ და რუსულ ენებს, საქართველოს და რუსეთის ისტორიას, გეოგრაფიას. 1896 წელს გიორგი საძაგლიშვილი ბერად აღიკვეცა და კირიონის სახელი მიიღო, ორი წლის შემდეგ კი ფრიად განსწავლული, უმწიკვლო პატიოსნებით ცნობილი, სამშობლოს სიყვარულით ანთებული კირიონი ალავერდის ეპარქიის მმართველად დაინიშნა, მოგვიანებით მას გორის ეპისკოპოსობა ებოძა.

რუსეთის სათანადო წრეებს ნიადაგ ყურადღების არეში ჰყავდათ ეს მათთვის არასაიმედო ქართველი და ყოველი მისი ნაბიჯი ზეპირად იცოდნენ. ცხადია, რუსეთს არ ეჭაშნიკა, როცა კირიონმა ქართველი სამღვდელოების მოწინავე ნაწილი

შემოიკრიბა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენი მოღვაწეობა გაშალა. უზადო პიროვნებას ბრალად ვერაფერს სდებდნენ და იმასღა ახერხებდნენ, რომ ეპარქიებს უცვლიდნენ ხშირად — ჯერ კამენეც-პოდოლსკში გაამწესეს, მერე — ხერსონში, ორიოლში, სოხუმში, კოვნოში. მაგრამ თავდადებული მამულიშვილი არა და არ ცხრებოდა, უცხოეთშიც გაათკეცებული ძალისხმევით ირჯებოდა საქართველოს საკეთილდღეოდ. ბოლოს იმდენს მიაღწია, რომ ჯერ თბილისში 1905 წ. გამართულ ქართველი სამღვდელოების კრებაზე, ერთი წლის შემდეგ კი პეტერბურგში სინოდის სხდომაზე ოფიციალურად დაისვა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. სინოდის ამ სხდომებზე წარსადგენად კირიონმა ოთხი მოხსენება დაწერა. აბა, ამდენს ვინ აპატიებდა და მომდევნო ექვსი წელი შერისხული კირიონი რეპრესირებული ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა — ეპისკოპოსის ხარისხჩამორთმეულს ჟანდარმერიის ზედამხედველობა დაუწესეს. 1908 წელს უეპარქიოდ დაითხოვეს და კურიაჟის მონასტერში გაგზავნეს, იქიდან კი ჟანდარმების თანხლებით — სანაქსარის უდაბნოში. 1912 წელს ხერსონის მონასტერში გადაიყვანეს, სადაც 1915 წლამდე მოღვაწეობდა, იმავე წელს ეპარქიის მმართველობის უფლება დაუბრუნეს და ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს. რუსეთში მყოფ კირიონს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია სამშობლოზე ზრუნვა, უჩვეულო ენერგიით საქმიანობდა: თავმჯდომარეობდა სხვადასხვა საზოგადოებას, აწარმოებდა მიწერ-მოწერას, ბევრს კითხულობდა, ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას, წერდა წიგნებს, წერილებს ჟურნალ-გაზეთებისათვის. კირიონის შრომებიდან ყველაზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა წიგნმა **"Культурная роль Иверии в истории Руси"**, რომელზეც იგი წლების განმავლობაში მუშაობდა. თავდადებით ეძებდა და აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებს, გულმოდგინედ სწავლობდა მუზეუმების, მონასტრების, ბიბლიოთეკების არქივებს. დიდი სიყვარულით კრებდა ძველ თქმულებებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, სიმღერებსა და ანდაზებს. 1909 წ. სანაქსარის უდაბნოში ყოფნისას, კირიონმა გადაწყვიტა მთელი თავისი ქონება: ხელნაწერები, წიგნები, ხატები, ძველი მონეტები, საარქივო მასალები თბილისის საეკლესიო მუზეუმისთვის შეეწირა. მისივე ძალისხმევით და დაჟინებული ზრუნვით პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდა აღმოსავლურ ეკლესიათა ისტორიის კათედრა, რომელიც ქართული ეკლესიის ისტორიასაც შეისწავლიდა. კირიონის წყალობით დაახლოებით 300 ქართველმა ახალგაზრდამ რუსეთსა და ევროპაში მიიღო უმაღლესი განათლება. ძალიანაც რომ ვეცადოთ, ალბათ კირიონის უდიდეს ღვაწლს სრულად მაინც ვერ აღვწერთ. ისევე, როგორც ბოლომდე ჯეროვნად ვერ შევაფასებთ მის პიროვნებას. მოდით ისევ მისივე სიტყვები მოვიშველიოთ: "...ჩემ სიცოცხლეში ჩემი წარმატებისათვის არ მიზრუნია: არც ოქრო იზიდამდა ჩემს გულს და არც ჯილდო. პირადი ჩემი ინტერესები დიდი ხანია უარვყავ. ბევრი უსამართლობა გამომივლია, მაგრამ თანაგრძნობისთვის არავისთვის თავი არ შემიწყევინებია. მტრებისთვის სამაგიერო არ გადამიხდია, თუმცა შემეძლო და გარემოებაც ხელს მიწყობდა. დეე, დროებით იპარპაშონ ცბიერებამ, ორპირობამ და დამბეზღებლობამ, დადგება დრო, უსამართლობა დაითრგუნება, მოისპობა პირისაგან ქვეყნისა და ჭეშმარიტება გამეფდება. მხოლოდ მოთმინება უნდა, მოთმინება, — თუმცა საქმე თავად მაინც არ გაკეთდება, ქადები ციდან არ ჩაცვივა. უფალმა ბრძანა: ეძიებდით და ჰპოებდით. ძიება არის შრომა ხანგრძლივი და თავდადებული".

# კირიონ II

**გვიკარნახეთ თემა**

# ქვემეხებიდან პისტოლეტებამდე

**ძალიან გვაინტერესებს ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის ისტორია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერსად ვერაფერი წავიკითხეთ. ქალაქის ქუჩებში კი იყიდება, წიგნები, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს. თუ შეიძლება გვიამბეთ რამე თუნდაც პისტოლეტის შესახებ, ვინ გამოიგონა, როდის ან სად?**

**ზაზა და ლონგო მეზვრიშვილები.**

... გაჩნდა არტილერია და კეთილშობილ რაინდთა ბრწყინვალე ეპოქაც დასრულდა. მსხვილკალიბრიან ცეცხლმსროლელ ურჩხულებს წინ ვერაფერი უდგებოდა, საალყო არტილერიის ბადროები უმტკიცეს ქვის გალავანსაც ანგრევდა და ნაჭედი მუხის კარიბჭესაც. თუმცა ცხენდაცხენ ბრძოლაში მოუქნელი ქვემეხები იმდენად ეფექტური ვერ იყო. უბრალო პატრუქიანი თოფით შეიარაღებულ მდაბიო მეომარს სულ ადვილად შეეძლო უნაგირიდან ჩამოეგდო მძიმედ შეიარაღებული, სამხედრო ხელოვნებას დაუფლებული დიდგვაროვანი რაინდი, ისე რომ მისი შუბისა თუ მახვილის შიში არა ჰქონოდა. ცხენიდან ჩამოვარდნილ მძიმედ შეჯავშნულ რაინდს წამოდგომის თავი აღარა ჰქონდა ხოლმე და როგორც წესი, ფეხოსნის იოლი ნადავლი ხდებოდა. ნებისმიერი ლაშქრის საუკეთესო ნაწილს – კავალერიას სრული გადაშენება დაემუქრა და რომ არა ახალი სახის იარაღი – პისტოლეტი, მას ეს ბედი ნამდვილად არ ასცდებოდა. სტოკჰოლმის ისტორიის ეროვნულ მუზეუმში დაცულია კაცობრიობისთვის ცნობილი პირველი პისტოლეტი – XIV საუკუნეში გერმანიაში დამზადებული პატარა ექვსწახნაგა ორი სხმული სახელურის მქონე ზარბაზანი. ახალი სახის იარაღი სწრაფად გავრცელდა ევროპის არმიებში, განსაკუთრებით კავალერიაში. ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფა მისი არსებობის 600 წლის განმავლობაში სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა: სროლის სიშორის გაზრდა, სიზუსტისა და სწრაფსროლის ამაღლება. პირველი ორი ფაქტორი განსაკუთრებით გრძელლულიანი იარაღისათვის იყო მნიშვნელოვანი. ყველა არმია ცდილობდა ისეთი სიათა თუ მუშკეტი მიეღო, რომელიც უხიფათო მანძილიდან მოახვედრებდა მიზანს. ამასთან სროლის სისწრაფე მხედველობაში არ მიიღებოდა, ცეცხლის სისწრაფე სხვადასხვა გზებით მიიღწეოდა. მაგალითად, ასე – მუშკეტერთა პირველი მწკრივი რომ გაისროდა, წინ მეორე მწკრივი გადადიოდა, მერე მესამე და ა.შ. ამასობაში პირველი მწკრივი იარაღის ხელახლა დატენას ასწრებდა. ციხე-სიმაგრეების დაცვისას სხვაგვარად იქცეოდნენ – ამ დროს ყოველ მსროლელს რამდენიმე ადამიანი უტენიდა იარაღს, რაც განუწყვეტელი სროლის საშუალებას იძლეოდა. ეს, რაც შეეხება გრძელლულიან ცეცხლსასროლ იარაღს. სულ სხვაა მოკლელულიანი იარაღი. პისტოლეტისთვის სროლის სიზუსტესა და მანძილს იმდენად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ან კი რად ექნებოდა, როცა მოწინააღმდეგე შენგან სულ ორ-სამ ნაბიჯზეა და მთავარი აქ სწრაფი სროლაა. სათავგადასავლო თუ ისტორიული ფილმების ყურებისას უთუოდ მიაქცევდით ყურადღებას, როგორ ტენიდნენ წინათ კაჟიან პისტოლეტებს. წამალს, დენთს საპირისწამლედან საწყაოში ყრიდნენ, იქიდან კი იგი ლულაში უნდა გადაეყარათ, ტომსიკიდან ტყვია უნდა ამოეღოთ, ჩაედოთ იგი ლულაში, დაეტენათ, შეეყენებინათ ჩახმახი, წამალი ფალიაზე დაეყარათ და მერეღა გაესროლათ – ხომ წარმოგიდგენიათ?! ცხადია, უმრავლეს შემთხვევაში მებრძოლი მეორედ გასროლას ვეღარ მოასწრებდა, მტერი აღარ დააცლიდა და მის პირისპირ აღმოჩენილი, უმალ დაშნის მომარჯვებას არჩევდა.

რაღა არ ილონეს, რათა დატენა-გასროლა დაჩქარებულიყო, მაგრამ ხელჩართულ ბოძოლაში პისტოლეტით მაინც ერთადერთხელ ხერხდებოდა გასროლა, ეს კი აშკარად არ კმაროდა. გამოსავალი მაინც მოიძებნა – მრავალგზის დატენა და მრავალი ლულა.

მრავალმუხტიანი პისტოლეტები XVI საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა და თავისი დროის ტექნიკური აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ტარის გასწვრივ მდებარე ორ გასწვრივ ღარში ინახებოდა დენთისა და ტყვიების მარაგი. პისტოლეტს ცენტრში, ტარსა და ლულას შორის ჰქონდა მბრუნავი დოლი ღარების მოპირდაპირე ორი ღრმულით. ლულის ქვევით დაშვების უმალ, ერთ-ერთ ღრმულში ტყვია ვარდებოდა, მეორე კი დენთით ივსებოდა. მერე კი ტარის დატრიალებით – დოლი 180 გრადუსით შემობრუნდებოდა – ტყვია ლულაში ხვდებოდა. დოლის კიდევ ერთი, მცირე შემობრუნება, და დენთის მუხტი ტყვიას უკან მოექცეოდა და პირსტოლეტი დატენილი იყო.

კი, ბატონო, სახმარად მარჯვე და მოხერხებულია, მაგრამ ამგვარმა სისტემებმა გავრცელება ვერ ჰპოვა – სიძვირის გამო ისინი მხოლოდ ძალზე შეძლებული ადამინებისათვის


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13

# ქვემეხებიდან პისტოლეტებამდე

იყო ხელმისაწვდომი ისე, რომ დოლიან პისტოლეტებს მხოლოდ გვირგვინოსნებისათვის თუ ამზადებდნენ.

ძალიან სახარბიელო აღმოჩნდა მრავალლულიანობის იდეა. ბუნებრივია, ასეთი იარაღიც გაჩნდა – ორ, სამ, ოთხ, ექვს და თქვენ წარმოიდგინეთ, ათლულიანი პისტოლეტებიც კი. ლულები ერთმანეთის გვერდით იყო განლაგებული, (როგორც თანამედროვე ორლულიან თოფებში), ზოგჯერ ერთი მეორის ქვეშ, დოლის და მარაოს სახითაც კი. განსაკუთრებით მარჯვე ის მრავალლულიანი პისტოლეტები გამოდგა, რომელთა ლულები მბრუნავ დოლში იყრიდა თავს. ფართოდ კი ასეთი პისტოლეტები XIX საუკუნის შუა წლებში გავრცელდა და მათ რევოლვერები შეარქვეს (ინგლ. რევოლვე – ბრუნვა, ტრიალი).

XVI საუკუნეში გაჩნდა კუთხვილი იარაღის პირველი ნიმუშები, თუმცა იმ დროს კუთხვილები ახლანდელივით ხრახნული კი არ იყო, არამედ მართი და მათში ტყვიის ნაწვი გროვდებოდა. მეიარაღეებმა ორასი წლის შემდეგღა მოიფიქრეს კუთხვილების ტყვიის დასატრიალებლად გამოყენება, რამაც მკვეთრად გაზარდა სროლის სიზუსტე და ბოლოს გაჩნდა ვაზნა, რომელშიც ერთ მთლიანობაში გაერთიანდა ტყვია, მუსტი და ფალია. დატენის რთული პროცედურა უმალ გამარტივდა და დატენის პროცესის ავტომატიზაციის შესაძლებლობაც გაჩნდა.

გასული საუკუნის მიწურულს რევოლვერი ძალზე პოპულარული გახდა და თითქმის იდეალურ იარაღად იყო მიჩნეული. იგი წამებში რამდენიმეჯერმე გასროლის საშუალება იძლეოდა, გარდა ამისა, რევოლვერს პრაქტიკულად არასდროს უმტყუნებია მსროლელისთვის – სასხლეტზე ხელახლა დაჭერისას დოლი ტრიალდებოდა, ჩახმახი შეიმართებოდა და უმალ მომდევნო გასროლაც ისმოდა. რევოლვერი საიმედოც იყო, ადვილი სახმარიც, მას არც დარტყმების ეშინოდა, არც დაბინძურების, ეს მშვენიერი იარაღი შემთხვევით არასდროს ისროდა, სროლისას დაცენტრება არ ეცვლებოდა. მრავალი ქვეყნის კონსტრუქტორმა მოჰკიდა ხელი რევოლვერების სხვადასხვა ნიმუშების დამზადებას. სმიტი, ვესონი, კოლტი, ნაგანი, ვებლეი – ბევრი გამომგონებლის სახელი საზოგადო სახელად იქცა. თუმცა რევოლვერს რამდენიმე ნაკლიც ჰქონდა. მთავარი მათგანი დოლში ვაზნების უმნიშვნელო მარაგი (6-7) იყო. რევოლვერის ხელახლა დატენას დიდი დრო მიჰქონდა და კონსტრუქტორებმა ახლა ამ პრობლემის გადასაჭრელი გზების ძიება დაიწყეს და კიდევაც მიაგნეს გამოსავალს – ბრტყელმა სავაზნემ ერთბაშად გადაწყვიტა ამოცანა. XIX საუკუნის მიწურულს გამოჩნდა ავტომატური იარაღი, რომელშიც წარმატებით იყო განხორციელებული ბორხარტის, ლიუგერის, მაუზერის პისტოლეტებში გამოყენებული კონსტრუქტორთა მიგნებები. ასეთ იარაღში სავაზნის გამოცვლას 3-4 წამი სჭირდება, ავტომატური საკეტი კი ლამის ჯერებით სროლის საშუალებას იძლევა. თუმცა პისტოლეტი ბევრად უფრო ჭირვეულია, ვიდრე რევოლვერი. ვაზნის გადახრა, ჩაჭედა სავაზნეში ცეცხლის სრულ შეწყვეტას იწვევს.

მსოფლიო მუზეუმებში ათასნაირი კონსტრუქციის კომბინირებული პისტოლეტები ინახება: დაშნა-პისტოლეტები, ხანჯალი-პისტოლეტები, ხიშტი-პისტოლეტები, ნაჯახი-პისტოლეტები, და სხვ. ძველად იარაღის, კერძოდ, პისტოლეტების სილამაზესაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ, ამაზე მუზეუმებში დაცული ნიმუშებიც მეტყველებს. დღეს კი იარაღის სილამაზეს მისი კონსტრუქციის რაციონალობაში, სისადავეში, საიმედოობასა და მოხერხებულობაში ხედავენ.

**სურათებზე:**

1. კოლტის სისტემის 1896 წლის ნიმუშის ექვსმუხტიანი რევოლვერი, ბევრი სხვა რევოლვერისაგან მხოლოდ მდიდარი ჭრეთა გამოარჩევს.
2. შვიდლულიანი რევოლვერი "ჩემი მეგობარი" აშშ, 1865-1870წ.წ.
3. სმიტისა და ვესონის რუსული მოდელი.
4. ფრანგული პისტოლეტი "გარმონიკა" – ბრტყელი სავაზნის შექმნის ერთ-ერთი ცდა. პატენტირებულია 1862 წ.
5. პირველი ცნობილი პისტოლეტი – XIV საუკუნის ბრინჯაოს ხელის ზარბაზანი. კალიბრი 16 მმ, ლულის სიგრძე 190 მმ. ნაპოვნია ზღვის ფსკერზე, შვედეთის სანაპიროსთან.
6. პლანტატორის იარაღი პისტოლეტი-მათრახი. დამზადებულია 1825წ.
7. ექვსმუხტიანი პისტოლეტი "პროტექტორი" (საფრანგეთი, 1883 წ.)
8. სამელნესთან კომბინირებული პისტოლეტი (იაპონია XIX საუკუნის მესამე მეოთხედი).
9. კაჟიანი პისტოლეტი "იხვის თათი" (XIX საუკუნის დამდეგი).
10. საფრანგეთში 1850 წ. დამზადებული პისტოლეტის მოდელი.
11. წაგრძელებულ ლულიანი სპორტული რევოლვერი "ნაგანი" კალიბრი – 7,62 მმ.
12. ამ რევოლვერის სავაზნე რვა ექვსმუხტიანი დოლისაგან შედგებოდა (ინგლისი, 1855 წ.) ამ ცილსა და მძიმე 48 მუხტიან იარაღს წარმატება არ ჰქონია.
13. სპორტული პისტოლეტი "იჟ-ხრ-30".

„ზნაიე სილა“

# მსოფლიო კიდით კიდემდე

## ინგლისელი გოგონები ვილიამანიამ შეიპყრო

ინგლისის ტახტის მემკვიდრე, 15 წლის ვილიამ არტურ ფილიპ ლუის ვინძორი ქვეყნის მოზარდების, განსაკუთრებით კი გოგონების სათაყვანებელი კერპი გახდა. მას შემდეგ, რაც პრინცესა დიანა დაიღუპა, ინგლისელებმა მის უფროს ვაჟზე გადაიტანეს მთელი ის სითბო და სიყვარული, რაც მშვენიერი პრინცესასათვის ემეტებოდათ. ვილის გარეგნობითაც ძალიან ამსგავსებენ დედას და ხასიათითაც — მაღალი (185 სმ), ასეთივე ჭვავისფერი სქელი თმა, იგივე მორიდებულობა და შუბლის ქვევიდან გამოხედვა, ისეთივე სწრაფი მოძრაობები. ყმაწვილ პრინცს ძალიან უყვარს ტყე, განმარტოება, სამაგიეროდ, ძალიან ეჯავრება ფოტოობიექტივები.

დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ ყოველ თუ არა, ყოველ მეორე ქალიშვილს ვილიამი ქვეყნის ყველაზე მომხიბვლელ ყმაწვილად და სასურველ, ნანატრ საქმროდ მიაჩნია. თებერვალში, წმინდა ვალენტინის დღეს ვილიმ ტომრობით სასიყვარულო წერილები მიიღო. ინგლისელმა სოციოლოგებმა ყმაწვილი პრინცით საყოველთაო გატაცებას ვილიმანია უწოდეს.

## მსოფლიოში უმდიდრესი გოგონა

ცნობილი ბერძენი მილიონერის არისტოტელე ონასისის შვილიშვილი



და ერთადერთი მემკვიდრე 13 წლის ათინა რუსელი დღეს მამის, ტიერი რუსელისა და დედინაცვლის გაბის ოჯახში იზრდება და ერთი შეხედვით, არაფრით განსხვავდება არც თავისი ნახევარი და-ძმისგან, არც თანატოლებისაგან, მაგრამ...

18 წლის რომ გახდება, ათინა მემკვიდრეობით მიიღებს 800 მილიონ დოლარ ნაღდ ფულს და 11 მილიარდ 200 მილიონ დოლარს უძრავი ქონებისა და აქციების სახით. გარდა ამისა, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი გოგონა გემთსატრანსპორტო კომპანიის აქციების, ხელოვნების ნიმუშთა უძვირფასესი კოლექციის, სკორპიოსის კუნძულისა და ნიუ-იორკში 51 სართულიანი ცათამბჯენის მფლობელია, აქვს სახლკარი საფრანგეთში, მონაკოსა და შვეიცარიაში, ორი მომცრო ზოოპარკი, პირადი ლიმუზინები და საოჯახო რეაქტიული თვითმფრინავები. სახარჯოდ ათინას წელიწადში სამი მილიონი დოლარი ეძლევა.

## თეთრკანიანები და შავკანიანები ერთად ისწავლიან

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც ბოლო დრომდე აპარტეიდი ბატონობდა, მრავალი წლის მანძილზე განათლება მხოლოდ ქვეყნის თეთრკანიანი მოსახლეობისთვის იყო აუცილებელი. დღესაც საუკეთესო სკოლების უმრავლესობას ის სკოლები შეადგენენ, რომლებშიც თეთრკანიანი ბავშვები სწავლობენ. არადა, სახელმწიფო, რომელსაც ამჟამად შავკანიანი მოსახლეობის წარმომადგენლები მართავენ, განათლებული, განსწავლული კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდის და წამყვანი როლი ამ პრობლემის გადაწყვეტაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქის იოჰანესბურგის კოლეჯმა "საკრე კერმა" უნდა ითამაშოს. ამ სასწავლებელს თავისი ისტორია აქვს. 50-იან წლებში სწორედ მან ერთ-ერთმა პირველმა გადადგა გაბედული ნაბიჯი და ჯერ ჩინელი ბავშვები მიიღო, მერე კი ებრაელი. 1976 წელს კი "საკრე-კერმა" შავკანიან გოგო-ბიჭებსაც გაუღო თავისი კარი.



დღეს ეს კერძო ფასიანი სასწავლებელია, მაგრამ მოსწავლეებს ფულს მშობლების შემოსავლის მიხედვით ახდევინებენ. კოლეჯში 1300-მდე მოსწავლეა, მათ შორისაა ქვეყნის პრეზიდენტის ნელსონ მანდელას ორი შვილიშვილი — 6 წლის მზუსო და 9 წლის ბამბატა. ყველა მოსწავლეს სკოლის ფორმა აცვია — ბიჭებს ნაცრისფერი შარვალი და თეთრი ხალათი, გოგონებს კი ყვითელი კაბა და ლურჯი სვიტერი. კოლეჯში ყველა რასისა და სარწმუნოების ბავშვები სწავლობენ.

## სიკვდილი მაიკლ ჯექსონის სიყვარულით

მაიკლ ჯექსონზე ფანატიკურად შეყვარებულმა 16 წლის ვოლჟსკელმა კატია ლაპშინამ სათაყვანებელი კერპის სიყვარულით თავი მოიკლა. სიკვდილის წინ გოგონას დღიურში ჩაუწერია: "1998 წელს ჩემს კერპს 40 წელი უსრულდება. ამ დღეს მე მოვკვდები, მინდა მთლიანად მას შევწირო თავი, რათა ჩემმა სიკვდილმა სიცოცხლე გაუხანგრძლივოს მას".

დედისთვის დაწერილ ბარათში კი გოგონამ ანდერძად დაიბარა: "მაპატიე, დედა. მინდა, რომ ჩემს საფლავზე ასეთი წარწერა იყოს: "I love you Michael", კიდევ ის მინდა, რომ ყველა პლაკატი, კასეტა და დღიურები საფლავში ჩამატანონ".



# იზარდე, მწვანე ჯეჯილო...



*ლელა მაჩაბლიშვილი*

*ქ. თბილისის 180-ე სკოლის მეცხრეკლასელია. მწერლობაზე ოცნებობს. ლიტერატურის გარდა, უყვარს გეოგრაფია, ისტორია.*

## სამაგიერო უდანაშაულოს

უუ! – უუ... უ უღრანი ტყის სამოთხიდან გულის განმგმირავი ღმუილი მოისმა, სიბნელეში ჰორიზონტზე ოთხი მოციმციმე მწვანე თვალი გამოჩნდა.

მთვარის შუქით განათებულ ხეთა შორის ბილიკს ორი მგელი მიუყვებოდა. წყაროსთან მივიდნენ და მთის ცივ წყალს ხარბად დაეწაფნენ.

რა ხანია, ეს ორი მგელი ერთმანეთს არ შორდება. ყველგან ერთად არიან, მათ ამ უკაცურ სამოთხეში ხანდახან თუ გამოჩნდება მხარზე თოფგადაკიდებული მონადირე, ანდა ხანდახან მოცვის მოსაკრეფად მისული გლეხი არღვევს მათ მყუდრო ცხოვრებას.

რა არის მგლის ცხოვრება? დაბადება და სიკვდილი. მაგრამ მგლის გაელვებასავით მოკლე ცხოვრება, ბევრად სჯობია ადამიანის ღღედაუთვლელ ცხოვრებას. უზრუნველად ცხოვრობდნენ და ხანდახან ტყეში ადამიანის გამოჩენა მათთვის ნეტარებაც კი იყო. წყალი დალიეს და ისევ იქით წავიდნენ, საიდანაც მოვიდნენ, აღმართზე შეჩერდნენ, ხვადი მგელი მთლად შავი იყო, ძუ მგლის ბეწვი კი იმდენად ღია, რომ ერთი შეხედვით თეთრი გეგონებოდა. ორივემ რაღაც ავის მომასწავებლად დაიწყო ყმუილი.

რა ხანია გათენდა, დილის მზე საოცრად ანათებდა. ორივე მგელი ბილიკზე მიდიოდა, ველური შინდი ჩაწითლებულიყო და ჯერ კიდევ მაინც მკვახე, ტყის ფრინველებსა და ცხოველებს თავისკენ იზიდავდა, ბალახებში გარეული მარწყვი ხარობდა. ძუ მგელმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ხიდან ჩამოვარდნილი პატარა ბარტყი დაინახა. არცერთმა მგელმა არ ისურვა მისი შეჭმა, ორივემ გვერდი აუარა და ისევ მარწყვნარიან შამბნარში შევიდა.

შუადღე გადასულიყო. უცებ შავმა მგელმა რაღაცა იყნოსა. თეთრი მგელი წამოხტა და წინ გაიქცა, ხეების ტევრი გაირბინა, ხვადიც მიჰყვა. ძუ მგელმა გაშლილ მდელოზე გაირბინა და ერთ მოზრდილ ხის ტოტზე დაკიდებული ხორცის ნაჭერი დაინახა. ორივეს ენახა მონადირეთა მიერ დაგებული ასეთი სატყუარები, ორივე უკუიქცა, მაგრამ იგრიალა თოფმა და ძუ მგელი ძირს დაეცა. ხვადმა მაშინვე ტყეს შეაფარა თავი.

რა ხანია ტყეში არ წყდება ღმუილის ხმა, ნუთუ ხვადი ასე დასტირის თავის მეგობარს?! ნუთუ მგელსაც გააჩნია მეგობრის დაკარგვით გამოწვეული წუხილის უნარი?

თეთრ საბურველში ეძინა ყველას და ყველაფერს, ბუნების მტერს კი არ ეძინა და არ ეძინა მის უშვილო მსხვერპლს. სწორედ ზედგამოჭრილი დღე იყო იმისთვის, რომ ადამიანს ბუნებაზე ენადირა.

მიტკალივით თეთრ ორღობეში ბილიკზე, გაჩნდა ნაფეხურები, პატარა ბიჭუნა სკოლაში მიდიოდა. ეტყობოდა, არ ეჩქარებოდა და თან ბუნების სილამაზით ტკბებოდა. ცოტა რომ გაიარა, ტრიალ მინდორზე გავიდა, შემდეგ სოფელს გადახედა, და რომ დარწმუნდა, არავინ მხედავსო, ტყეში გადაუხვია. საოცარ ბედნიერებას გრძნობდა, სკოლის გაკვეთილების შემდეგ ყველა სოფლელი გოგო-ბიჭი ამ ტრიალ მინდორზე წამოვიდოდა სათამაშოდ, ერთმანეთს შეეჯიბრებოდა გუნდების შეგროვებაში და ყველას გაუკვირდებოდა, როცა ყველაზე მეტი გუნდა მას ექნებოდა მოგროვილი – ფიქრობდა ბიჭი და თან თავის მიერ მოგროვილ გუნდებს თოვლს აყრიდა. მერე ნაშრომს სიამაყით შეხედა და შემდეგ სკოლაში წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ იფიქრა, ჯერ კიდევ ადრეაო და სკოლაში წასვლას თოვლიან ტყეში, ნაცარა კურდღლების კვალზე მიყოლა ამჯობინა. აგერ უკვე დაინახა მოზრდილი კვალი, ცოტა დაეჭვდა, იქნებ კურდღლისა არ იყოსო, მაგრამ გზა მაინც განაგრძო. როცა დაინახა, რომ ყოველი წყვილი ნაფეხური ერთმანეთისაგან შორს იყო, შეცბა, თოვლი დიდი იყო და ბიჭი მუხლებამდე ეფლობოდა. გზას დასცილდა. ის-ის იყო დაბრუნება გადაწყვიტა, რომ ხეებს შორის შავმა ბეწვმა გაიელვა. ბავშვი შეკრთა, შავ მგელს ხახა დაეღო და პირიდან დორბლი სდიოდა. ბიჭს გაქცევა უნდოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ კბილებდაკრეჭილ მგელს ვერსად გაექცეოდა, თავში რამდენიმე აზრმა გაუელვა, ფეხები აუკანკალდა. მგელი თითქოს გადმოფრინდაო, ისე ეცა ბიჭს, ბავშვმა თავი ველარ შეიკავა. თოვლზე ფეხი აუსხლტა, ძირს დაეცა. გაავებული მგელი უმოწყალოდ გლეჯდა, იგი საშინელ ტკივილს გრძნობდა, თანდათან დაუბნელდა თვალები. შუქს ველარ ხედავდა...

ცოტა ხნის შემდეგ ცა გაიხსნა, თოვლი წამოვიდა და ყოველივეს უზარმაზარი ზეწარი დააფარა.

# ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲡ ᲜᲐᲦᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

რამდენიმე მაიმუნი დილაადრიანად ხის მორზე ახლო-ახლო ჩამომჯდარიყო და ერთმანეთს ნაზად ეალერსებოდა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას და ინტერესს ერთი მაიმუნი იპყრობდა, რომელსაც იმ ღამით პატარა შვილი შეეძინა. მაიმუნები თვალს ადევნებდნენ ახალშობილის ყოველ მოძრაობას. ერთი სული ჰქონდათ, შეხებოდნენ, მაგრამ მამალი მაიმუნი ამის უფლებას არავის აძლევდა, დედა მაიმუნის გვერდით იჯდა და პირნათლად ასრულებდა მამისა და ერთდროულად ჯოგის მეთაურის მოვალეობას, ფხიზლად იცავდა დედა მაიმუნის და ახალშობილის უსაფრთხოებას. დედის მკერდზე ჩახუტებულ პატარას უდარდელად ეძინა, დროდადრო ამოძრავდებოდა, ძუძუს ჩაეჭიდებოდა და ისევ ჩაეძინებოდა.

იმ დილით დედა მაიმუნი თავს ბედნიერად გრძნობდა, თავის ახალშობილს მალ-მალე მოსიყვარულე თვალს გადაავლებდა და თან გულზე იხუტებდა ჩაძინებულ პატარას.

საღამოს დედა მაიმუნს უხალისობა შეეტყო და საჭმელსაც არ გაკარებია, რაც მაიმუნებს ასეთ დროს არ ახასიათებთ. ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდეც, მაგრამ ცუდი არაფერი მიფიქრია. მეორე დილით მაიმუნი უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, საკუთარი ავადმყოფობის გარდა, პატარას ბედიც სტანჯავდა. ძალაგამოცლილ დედას შვილი კვლავ მკერდში ჰყავდა ჩაკრული. შეწუხებული პატარა მალ-მალე წამოიყვირებდა ხოლმე, თითქოს მომაკვდავ დედას გულს უმხნევებდა და ახსენებდა, რომ მას დედა სჭირდებოდა. დედამ კარგად იცოდა ეს და მანამდე ებრძოდა დაუნდობელ ავადმყოფობას, სანამ პატარა ხელიდან არ დაუვარდა და თვითონაც უგონოდ არ გადავარდა გვერდზე. უმწეო ჩვილი მაიმუნი ბეტონის იატაკზე ეგდო და ხმამაღლა ჩხაოდა. დედა მაიმუნს კი მისი ხმა აღარ ესმოდა.



პატარა მაიმუნი მამამ აიყვანა და ისიც ცოტა ჩაწყნარდა, სითბო ესიამოვნა, მაგრამ ახალშობილი მამის მკერდზე ძუძუს ეძებდა და რომ ვერ პოულობდა, ტიროდა. შეწუხებულმა მამა მაიმუნმა ისევ ბეტონის იატაკზე დასვა შვილი. უმწეო პატარას სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. სხვა გზა არ იყო, გადავწყვიტე, დანარჩენი მაიმუნებისგან გამომეცალკევებინა და ხელოვნურ კვებაზე გადამეყვანა. მაიმუნებმა ყველა ღონე იხმარეს იმისათვის, რათა პატარა არ დაეთმოთ, იმას კი აღარ ფიქრობდნენ, რა მოუვიდოდა უდედოდ დარჩენილს.

როგორც იყო, პატარა მაიმუნი გალიიდან გამოვიყვანე, მაგრამ მისი ხელოვნურ კვებაზე გადაყვანა მაშინვე ვერ მოხერხდა. ამისათვის მზად არ ვიყავით. მე და ზოოპარკის ვეტექიმმა მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ დაობლებულ ცხოველს იგი შინ, თავის მეუღლესთან წაიყვანდა, რომელსაც ორი თვის ბავშვი ჰყავდა. შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ ვეტექიმის მეუღლე ერთი თვის განმავლობაში ტყუპებივით ერთად აჭმევდა მაიმუნსა და ბავშვს, ორივეზე ერთნაირად ზრუნავდა ახალგაზრდა დედა — თავის შვილზეც და პატარა მაიმუნზეც.

ერთი თვის შემდეგ წამოზრდილ პატარა ობოლში მაიმუნურმა ინსტიქტმა გაიღვიძა. ყველაფერს ცნობისმოყვარეობით ეპოტინებოდა, ერთ ადგილას აღარ ჩერდებოდა. ადვილი შესაძლებელი იყო "ტყუპის ცალისთვის" რაღაც დაეშავებინა და ამიტომ გადავწყვიტეთ, ისევ ზოოპარკში დაგვებრუნებინა.

ცალკე გალიაში პატარას ყველაფერი გავუმზადე, რაც ერთი თვის ასაკის მაიმუნისთვის იყო საჭირო. დასაძინებლად კალათი დავუდგი, შიგ საფენებიც ჩავუფინე და სათამაშო ბეწვის ძაღლიც ჩავუსვი. პირველ ხანებში ის სათამაშოს გულში იხუტებდა და ისე იძინებდა ხოლმე. მაიმუნს კირილე დავარქვი სახელად. ხელოვნურ კვებაზე გადაყვანილ კირილეს ყოველ სამ საათში ვაჭმევდი, რისთვისაც ღამის საათებშიც მიხდებოდა ხოლმე ზოოპარკში ჩასვლა. ასე იყო, სანამ პატარა საჭმლის დამოუკიდებლად ჭამას ისწავლიდა. კირილე მალე შეეჩვია ბოთლსა და მაწოვარას. იჯდა თავის გალიაში და გაფაციცებით მადევნებდა თვალს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი კვების დრო მოახლოვდებოდა. მოუთმენლობისაგან კივილით იკლებ-

და იქაურობას, მაჩქარებდა. კვების დროს გალიიდან გარეთ გამომყავდა და იქვე სკამზე ჩემს მუხლებზე წამოგორებული ხარბად შეექცეოდა ხელოვნურად გამზადებულ რძეს. შიმშილს რომ მოიკლავდა, დამშვიდებული ყურადღებით შეათვალიერებდა იქაურობას და ფრთხილად გადადიოდა სკამზე. მერე კი მაიმუნისათვის ჩვეულ კოტრიალს და თამაშს იწყებდა. თუ ამ დროს ვინმე უცხოს ან უცნობ საგანს მოჰკრავდა თვალს, მაშინვე ჩემკენ გამორბოდა, ჩამეხუტებოდა, ჩემს მკერდზე პოულობდა საიმედო თავშესაფარს და იქვე ჩაეძინებოდა ხოლმე.

2105

გავიდა დრო, კირილე გაიზარდა, ხელში ძალა იგრძნო და სათამაშო ძაღლი აითვალწუნა, ბრაზისაგან სულ დაგლიჯა. ამის შემდეგ გალიაში კატა ჩავუსვი, რომელსაც კირილე ადრე მხოლოდ გარეთ სეირნობის დროს ხვდებოდა ხოლმე. კატა უფრო მოეწონა, მეტი სითბო იგრძნო, მაგრამ დაუდეგარი მაიმუნი კატას მოსვენებას არ აძლევდა და შეწუხებული ფისო გამოიქცა. სწორედ იმ დღეებში ზოოპარკში შემთხვევით გზააბნეული პატარა, მხიარული, ლამაზი და კეთილთვალებიანი ძაღლი შემოვიდა. რატომღაც მაინცდამაინც მაიმუნებისკენ გამოუწია გულმა და მეც და კირილესაც იმ დღესვე შეგვეჩვია.

ძაღლს ცუგო დავარქვი. კირილე და ცუგო ძალიან დამეგობრდნენ, ერთად ცხოვრობდნენ, ერთად ეძინათ ჩახუტებულებს, გარეთ სეირნობის დროსაც ერთად იყვნენ, ბავშვებმა კირილე გაიცნეს და ახლა საგანგებოდ მის სანახავად მოდიოდნენ ზოოპარკში, ზოგს ხილი და კანფეტები მოჰქონდა მისთვის, ზოგს სათამაშოები, გახარებული კირილე ბავშვებს ჩანთებში და ჯიბეებში უძვრებოდა, თვითონვე აცლიდა, თუ რაიმე გემრიელს იპოვნიდა. მერე ცუგო და კირილე ბრუნდებოდნენ, კირილე მოსვენებას არ აძლევდა მეგობარს, ჩაძინებულს თვალებს ძალით ახელინებდა და სათამაშოდ იწვევდა. ცუგოც მორჩილად უსრულებდა ყველა სურვილს. როცა ეზოში გამომყავდა ხოლმე, თუ ერთი მათგანი თვალს მოეფარებოდა, მეორე სასწრაფოდ მოძებნიდა, ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, ეფერებოდნენ... მერე ჩვენს ქვეყანაში ომი და განუკითხაობა დაიწყო. გაჭირვებამ, საკვების უკმარისობამ და ზამთრის სუსხმა ჩვენი ზოოპარკის მკვიდრებზეც იმოქმედა. თავს არ ვზოგავდი, ზრუნვასა და მოვლას არ ვაკლებდი ჩემს ოთხფეხ მეგობრებს, მაგრამ... კირილე ავად გახდა, დღითი დღე უძლურდებოდა, დანაღვლიანდა. თავს იმითღა ვინუგეშებდი, რომ კარგად ჭამდა და მეც ყველანაირად ვცდილობდი, საკვები არ მომეკლო. რამდენიმე ვეტექიმმა გასინჯა, ყველამ სხვადასხვა დიაგნოზი დაუდგინა, რის გამოც ამოუცნობი ავადმყოფობის მკურნალობამ არავითარი შედეგი არ გამოიღო.

მზიან ამინდში კირილე გარეთ გამომყავდა. მას ხომ ჩემთან და ცუგოსთან ერთად სეირნობა ყველაფერს ერჩია, მაგრამ ახლა აღარც სეირნობის სურვილი ჰქონდა და აღარც ძალა. ხშირად ჯდებოდა, სევდიანად შემოგვცქეროდა ხან მე და ხან ცუგოს, მის თვალებში აშკარად იკითხებოდა სიცოცხლის სურვილი, უნდოდა, ძველებურად ერბინა და ეთამაშა ჩვენთან ერთად, მაგრამ არ შეეძლო. ავადმყოფობამ კირილეს ზრდაც შეაფერხა და ეს ძალიან მაღელვებდა. ცუგო თითქოს გრძნობდა კირილეს მდგომარეობას და სულ მის გალიასთან იჯდა. მეც ვცდილობდი, მთელი დრო ავადმყოფ კირილესთან გამეტარებინა, საკუთარი უძლურება მაღიზიანებდა, ვერ დამეჯერებინა, რომ კირილეს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა.

ვეტექიმის რჩევით მაიმუნს ვიტამინების შეშვება დავუწყეთ ორგანიზმში, თითქმის ორი კვირის განმავლობაში ჩხვლეტდნენ ნემსებით დაუძლურებულ ცხოველს. ბოლოს იმდენად შეწუხდა საბრალო, რომ შპრიცის დანახვაზე პატარა ბავშვივით ხმამაღლა კიოდა. ძალიან მეცოდებოდა და ნემსების კეთება შევაწყვეტინე. ვგრძნობდი, რომ კირილეს ველარაფრით ვუშველიდით და აღარ მინდოდა, ზედმეტი ტკივილი მიმეყენებინა.

ყოველ დილით შიშით ვუახლოვდებოდი კირილეს ოთახს, სულ მეგონა, რომ ცოცხალი აღარ დამხვდებოდა და შორიდანვე შევძახებდი ხოლმე. რამდენიმე დილას ხმაურითვე მეგებებოდა და მეც რაღაც იმედს ვებღაუჭებოდი. ერთ საღამოს გალიაში აღარ ჩავკეტე, თავის ოთახში ელექტროღუმელთან დავტოვე, როგორც ყოველთვის, საჭმელიც დავუტოვე იქვე ახლოს, თუმცა იმ დღისით არაფერი ეჭამა. გვიან საღამოს გამომშვიდობებისას სევდიანი თვალი გამომაყოლა, თითქოს გრძნობდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვეღარასოდეს შევხვდებოდით. სამუდამოდ გამოვემშვიდობე ჩემს კირილეს. მეორე დილით ის მკვდარი დამხვდა. იქვე ნაძვნარში დავასაფლავე. დიდხანს მიკლავდა გულს მისი სიკვდილი, განვიცდიდი, რომ ვერ დავეხმარე, ვერ გადავარჩინე.

ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელმაც იცოდა ჩემი და კირილეს ურთიერთობა, დამამშვიდა, შენ ხომ მაიმუნს შენი სიცოცხლის ოთხი წელი აჩუქე, შენი წყალობით იცოცხლა პატარა კირილემ ის ოთხი წელიო...

**ვლადიმერ ნიზლიაშვილი**



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოულოდნელ პრობლემებს გადააწყდი და არ იცი, როგორ მოიქცე? მშობლებს შენთვის არა სცალიათ, თანატოლები კი ვერ გიგებენ? შენი აზრით გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდი და სასოწარკვეთილი ხარ? თუ ასეა მოგვწერე, რა გაწუხებს, რა გაღელვებს. რედაქციის თანამშრომლები, ფსიქოლოგები ნებისმიერ კითხვაზე გიპასუხებენ, დაგეხმარებიან.**

# ...თუ ასეა, მოგვწერე

**ამ გაზაფხულზე 15 წლის გავხდი, ჩემს მშობლებს კი ისევ პატარა ვგონივარ, არაფრის ნებას არ მაძლევენ. ამას წინათ დაქალის დაბადების დღეზე უნდა წავსულიყავი, გოგოებმა გამომიარეს, ყველა ლამაზად გამოიყურებოდა — მაკიაჟი, მანიკიური... მეც შევიღებე თვალები, მაგრამ დედამ და, განსაკუთრებით მამამ ისეთი დღე მაყარეს, რომ ტირილით ცხვირპირი დავისიე, ტუში შავ ცრემლებად ჩამომდიოდა. ცხადია, დაბადების დღეზე აღარ წავსულვარ. დედამ კი სცადა დავემშვიდებინე, ისევ შენი სიკეთისთვის გიშლით, კოსმეტიკის ნაადრევი გამოყენება კანს გაგიფუჭებსო, მაგრამ ყველაფერი ჩამშხამდა.**

**ამიხსენით, რატომ არ შეიძლება ჩემხელა გოგომ კოსმეტიკა იხმაროს?!**

**თეონა ზ. 15 წლის**

შეიძლება შენი მშობლები იმან გაალიზიანა, რომ შენ ჭარბად იხმარე კოსმეტიკა და არ მოგიხდა, ვულგარული იერი მოგცა. გირჩევთ, კრიჭაში ნუ ჩაუდგები მათ, დედას დაელაპარაკე, სცადე აუხსნა, რომ კოსმეტიკის ხმარება გოგონებმა ამთავითვე უნდა ისწავლონ, რომ ახლა სულ სხვანაირი, უვნებელი კოსმეტიკა იყიდება, რომ კოსმეტიკა კანის ნაკლოვანებების დასაფარავად გჭირდება. ალბათ თავადაც გეცოდინება, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ ძალიან შეღებილი თვალები და მყვირალა წითელი ტუჩები მოდაში აღარ არის. დღეს კოსმეტიკა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ხაზს უსვამს და არ ალამაზებს. მშვიდად აუხსენი ეს შენიანებს და კოსმეტიკის უპირატესობაში დაარწმუნე.

* * *

**ადრე ჩვენი კლასი ძალიან მეგობრული იყო, შარშან კი სასწავლო წლის ბოლოს ჯგუფებად დაიშალა. დავითვალე და, მგონი, ექვსი ასეთი კომპანია გამოვიდა. ბევრმა გოგომ, აქაოდა მაგრები ვართო, ბიჭებთან მეგობრობა აღარ მოინდომა და ცალკე დაჯგუფება შექმნა. მე და ოთხი გოგო კი ბიჭებთანაც ვმეგობრობთ. ისინი კი დაგვცინიან, მასხარად გვიგდებენ. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდით, ახლა კი აღარ გვასვენებენ, სულ რაღაცებს გვიწყობენ, უნდათ სკანდალზე გამოგვიწვიონ. აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, ხელჩართულ ჩხუბს ხომ არ დავიწყებთ?! რა უნდათ, ალბათ ჩვენი შურთ?**

**მერვეკლასელი გოგონები**

შეიძლება თქვენ მართალი ხართ და იმ "მაგარ" გოგოებს თქვენი შურთ, აღიზიანებთ ის ამბავი, რომ ბიჭები თქვენთან მეგობრობენ, და არა მათთან. ყველაზე სწორი იქნება, თუ ასეთ "დაქალებს" ყურადღებას არ მიაქცევთ და მშვიდად შეხვდებით ყოველ მათ გამოხდომას. სცადეთ, არაფრად ჩააგდოთ მათი დაცინვები და დარწმუნდებით, რომ ჩვენი რჩევა ნამდვილად მისაღებია. ეცადეთ, ნაკლებად იქონიოთ მათთან ურთიერთობა, მხოლოდ თქვენს წრეში იტრიალეთ, კვლავაც იმეგობრეთ ბიჭებთან. დაგვიჯერეთ, იმათ თვითონ მობეზრდებათ საკუთარი საქციელი და საბოლოოდ ან ისევ ყველანი იმეგობრებთ, ან უბრალოდ მშვიდად იქნებით თქვენს წრეში.

* * *

**როცა სარკეში ვიხედები, მეჩვენება, რომ ჩვეულებრივი ნორმალური სახე მაქვს, მაგრამ ჩემი ტოლი ბიჭები, კლასელები, მეზობლები ან საერთოდ არ მიყურებენ ზედ, ან დამცინიან, რას შგავხარო, შეურაცყოფას მაყენებენ. ერთხელ ერთმა თანაკლასელმა დაცინვით „ლამაზო“ დამიძახა და სხვებმაც აიტაცეს, ახლა სულ „ლამაზოს“ მეძახიან. რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, თუ ასეთი გავჩნდი? ვის რა დავუშავე, ყველა ხომ მზეთუნახავი არ იქნება? ვცდილობ, ყურადღება არ მივაქციო, მაგრამ ვერ ვახერხებ, მწყინს, გული მტკივა.**

**ზეინაბი, 14 წლის.**

ზეინაბ, შენი ყველაზე კარგი მრჩეველი სარკე ყოფილა, ჰოდა, შენც უფრო ხშირად მიენდე ხოლმე მას. სწორად გადაგიწყვეტია, როცა ბიჭების დაცინვას ყურადღებას არ აქცევდი მაგრამ შენ საბოლოოდ უნდა დაარწმუნო შენი თავი, რომ მახინჯი სულაც არა ხარ და არაფრით ჩამოუვარდები დანარჩენ გოგონებს. თუ შეძლებ და არაფრად ჩააგდებ ბიჭების გესლიანობას, გულგრილად შეხვდები ყველა მათ დაცინვას, სულ მალე დაინახავ, რომ მათ მობეზრდებათ და თავს დაგანებებენ. ხოლო თუ სხვა თანატოლებს მოძებნი სამეგობროდ, "ლამაზო, ლამაზოს" კომპლექსი მთლიანად მოგეხსნება და ერთ მშვენიერ დღეს ის ბიჭები დაინახავენ, რომ მართლა ლამაზი ყოფილხარ.



## „არ-დაივიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“

# მეგობრობა, რომელიც არასდროს შეწყდება

ებრაელები საქართველოში ქრისტეს დაბადებამდე 600 წლის წინ მოსულან. სტუმარი ღვთისაა, ეს სიბრძნე ქართველებს ოდითგანვე მოსდგამთ, ებრაელები სიყვარულით მიუღიათ და 26 საუკუნე სიამტკბილობით გაუტარებიათ. ამ ხნის მანძილზე ებრაელებს არც დევნა განუცდიათ, არც შევიწროვება. ისტორიას არც მათი ღალატი ახსოვს. ცხოვრობდნენ ქართულ მიწაზე ერთგულად, პატიოსნად და მასპინძლის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ, არც მიწას გამოსდავებიან, არც ავტონომია მოუთხოვიათ.

დადგა დრო და ებრაელებს მშობლიური წმინდა მიწის ყივილმა ისრაელისაკენ მოუხმო. ზოგი დარჩა ჩვენთან, ვინც წავიდა, ჩვენი ქვეყნის სიყვარული წაიყოლა, არ ივიწყებენ ჩვენს ენას, ადათ-წესებს. ქართულ ენაზე გამოდის გაზეთები, ჟურნალი, შექმნილია რუსთაველის საზოგადოება, ჩამოყალიბებულია ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები. ყოველწლიურად იხდიან დღესასწაულს "ქართველობას"... ისე რომ ცხრა მთასა და ზღვას იქით მოკეთე გვყავს. ვერც სიშორემ და ვერც დრომ ვერ გააფერმკრთალა ჩვენი ურთიერთობა. უფროსი თაობა უმცროსს გადასცემს ათასწლეულობით ნასათუთევ კეთილი ურთიერთობის ტრადიციას და მის გაფრთხილება-გაგრძელებას უნერგავს. ასე იქცევა ორივე ხალხი, ორივე ერი. დღეს ჩვენ ამის ერთ რიგით მაგალითზე გიამბობთ და თბილისის 53-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეს ლევან ღვინიანიძეს ვაძლევთ სიტყვას.

— ბებიაჩემი მაგდა ჯიბლაძე (დედაჩემის დედა) და ლიანა მანაშეროვი თბილისის 42-ე სკოლაში ერთ მერხზე მსხდარან. იმთავითვე დამეგობრებულან, ერთმანეთი ძალიან ჰყვარებიათ. ბებიას მშობლები ადრე გარდაცვლია. მანაშეროვების ოჯახს მისთვის მშობლიური სითბო და სიყვარული არ მოუკლია. გაიზარდნენ, დაოჯახდნენ. დედაჩემი და ლიანა ბებიას უფროსი შვილი ინგა ტოლები არიან. ინგასთვის ბებიაჩემს უწოვებია ძუძუ, ისე რომ ინგა მანაშეროვი მაია კობაიძის ძუძუმტეა. დედაჩემი ახლა უცრემლოდ ვერ იხსენებს მათ ისრაელში წასვლას. წავიდნენ მანაშეროვები, ჩვენი ოჯახი კი მოუთმენლად ელოდა ფოსტალიონის ყოველ გამოჩენას, ჩვენების წერილიაო და იყო სიხარული. ამ ზაფხულში მე და დედა წავედით ისრაელში და პირადად გავიცანი "ჩვენები". 17 დღეს დავყავით მათთან, სითბო და სიყვარული არ მოგვკლებია, მთელი ისრაელი შემოგვატარეს.

— გოლგოთას მთასაც ნახავდი.

— პირველ რიგში ქრისტიანული და მერე იუდეველთა წმინდა ადგილები დაგვათვალიერებინეს. რა თქმა უნდა, გოლგოთაც მოვინახულეთ, ავედით სულ ზემოთ, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს. გზაზე კლდეში ხელის ანაბეჭდია გამოსახული, მაცხოვრის ხელიაო, გვითხრეს. ვიყავით ნათლისმცემლის მონასტერში, კონსტანტინე დიდის ტაძარში. სწორედ აქ არის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი დასვენებული. მდინარე იორდანეშიც ვიბანავე, მკვდარ ზღვაზეც ვიყავით, ხმელთაშუა ზღვაზეც, იუდეველთა უდაბნოშიც, სადაც მეფე იროდის კლდეში ნაკვეთი სასახლე დავათვალიერეთ...





— სხვა ქართველ ებრაელებს თუ შეხვდით?

— როგორ არა, ქალაქ ლუდიაში, მაგალითად ეთერ პიკიმაშვილმა მიგვიპატიჟა. აქ ქართველი ებრაელები ყველაზე კომპაქტურად ყოფილან დასახლებული. ქუჩაში სულ ქართული ლაპარაკი გვესმოდა, თავი თბილისში მეგონა.

ლუდიაში კიდევ ერთი სიხარული განვიცადეთ — აქ დაბადებულა წმიდა გიორგი. მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ, აქვე დაუსაფლავებიათ. მის სახელზე ეკლესია აშენებულა.

— შენი თანატოლები თუ გაიცანი?

— ინგა დეიდას უფროსი შვილი ალონი თითქმის ჩემი ტოლია. ხშირად დავდიოდით ერთად, მიყვებოდა თავისი სკოლის და კლასის ამბებს. მისგან შევიტყვე, რომ ისრაელში ბავშვის დაბადებისას მუნიციპალიტეტი ოჯახს მისალოც ბარათს უგზავნის, ბავშვის სახელზე კი ხეს რგავს. ალონი რომ დაბადებულა, მუხა დაურგავთ (ალონი ივრითის ენაზე მუხაა). ალბათ ამიტომაა წალკოტად ქცეული ისრაელის ქალაქები. რა კარგი იქნება, ეს მშვენიერი წესი ჩვენმა მერიამაც რომ გადმოიღოს.

გვენანებოდა მასპინძლების და ამ წმინდა მიწის დატოვება, მაგრამ ... განშორების სევდის მიუხედავად რაღაც შინაგანი სიმშვიდით სავსენი დავემშვიდობეთ ერთმანეთს. იმათაც და ჩვენც გვჯეროდა, რომ ჩვენი მშობლების მეგობრობას ახლა მე, ალონი, მიხალი, ორენი და ინბალი გავაგრძელებთ.

**მედეა ღუდუშაური.**

# ან გუშინ ვინ იყო ლამაზი, ან დღეს ვინ არის?

ის, რაც თუნდაც რამდენიმე საუკუნის წინათ ქალური სილამაზის ნიმუშად იყო მიჩნეული, დღეს უნდობელ ღიმილს იწვევს. ვუყურებთ უძველეს ფრესკებზე, ფერწერულ ტილოებზე აღბეჭდილ დედოფლებს, დიდგვაროვან ქალბატონებს, ვლამობთ ცოცხლად წარმოვიდგინოთ დიდოსტატი მწერლის კალმით აღწერილი თუ პოეტის მიერ ხოტბაშესხმული მზეთუნახავები, ჩავწვდეთ კინოფირზე აღბეჭდილი წინა თაობების სათაყვანო ვარსკვლავების მომხიბვლელობას, მაგრამ...

ასეა, ყველაფერი იცვლება, მათ შორის ქალური სილამაზის ეტალონიც.

"... ვუმზერდი მას და გული გამალებით მიცემდა. ნილოსის წყალივით მწვანე თვალები ჰქონდა; ყელს, იდაყვებს, ფეხის კოჭებს სამკაულები უმშვენებდა, თავი კი სულ შიშველი ჰქონდა. მსგავსი მშვენიერება არასოდეს მენახა". ასე აღწერს უძველეს დროის ეგვიპტელ ლამაზმანს იმდროინდელი მოგზაური. თუმცა ზოგი ახირებული მანდილოსანი ეპატირების მიზნით დღესაც იპარსავს თავს, მაგრამ საეჭვოა, ქალის მელოტმა თავმა აღტაცებაში მოიყვანოს ვინმე. ზემოთ მოგახსენეთ, გემოვნება იცვლებაო და აქედან გამომდინარე, ზოგადად ლამაზი ქალი, ქალიშვილი არ არსებობს. სხვადასხვა ეპოქაში ქალში სხვადასხვა რამ მოსწონდათ, მაგალითად, ოთხი ათასი წლის წინათ ეგვიპტელი ქალის გარეგნობაში გადაპარსულ თავზე მორგებული შავი პარიკი, ნუშისებრი თვალები და გამხდარი ფეხები ფასობდა. იმდროინდელი ტურფა ქალიშვილები მხოლოდ



მოკლე ქვედატანით იმოსებოდნენ, სახესაც იღებავდნენ და სურნელოვან ზეთსა და ათასგვარ ნელსაცხებლებსაც ხმარობდნენ.

ეს ეგვიპტეში, ძველ საბერძნეთში კი ადამიანში და უწინარესად ქალში, სხეულის ჰარმონია და პირველქმნილი, ბუნებრივი ხიბლი უფრო იზიდავდა. ლამაზი ქალი ნატიფ ქანდაკებას ჰგავდა. მომცრო თავი, სწორი ცხვირი, დიდრონი თვალები. ჰარმონიულ სილუეტს ზემოთ ავარცხნილი და შეკრული თმა აგვირგვინებდა, ასევე მშვენიერ სხეულს კი თავისუფალი ტანსაცმელი ფარავდა.

ახლა ძველი რომიც ვნახოთ. აქ ქალის ბუნებრივი სილამაზე და მომხიბვლელობა იმდენად არ ფასობდა, რამდენადაც ღირსება. მისაბაძად მოწიფული მატრონა, პატივცემული გათხოვილი ქალი, ოჯახის დედა ითვლებოდა, რომელსაც გამოარჩევდა ღირსეული იერი და არა კეკლუცი სილამაზე. ხოლო ღირსების ხაზგასასმელად ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტანსაცმელს. ამიტომაც თურმე რომაელი მატრონები რამდენიმე საათს ანდომებდნენ ტოგის კალთებ-



ის, ნაოჭების გარკვეული წესით დალაგებას. რომაული საზოგადოება სიკოხტავესა და ელეგანტურობაში უპირველეს ყოვლისა ძალაუფლებისა და შეძლების სიმბოლოს ხედავდა. და კიდევ ერთი — მოდაში მხოლოდ ქერა თმა იყო. გამოხდა ხანი და შეიძლება ითქვას, რომ რომაელების მიერ გამოგონილმა ნემსმა და ძაფმა გადატრიალება მოახდინა ჩაცმა-დახურვაში. მსოფლიო კულტურის ცენტრმა ჩრდილო ევროპაში გადაინაცვლა. შუა საუკუნეებში სილამაზის იდეალის ჩამოყალიბება ძირითადად ცივმა ჰავამ და ქრისტიანულმა თავმოდრეკილობამ განაპირობა. ევროპა-

ში ლამაზად გამხდარი, ნაზი, თეთრხელება, პატარა ბაგეებიანი, სამკუთხა მოყვანილობის პირისახის ქალიშვილი ითვლებოდა. ქალს თმა არამც და არამც არ უნდა გამოეჩინა, ეს დიდ უზრდელობად ითვლებოდა (ესეც თქვენ!), ამიტომაც თავს ყოველთვის საგულდაგულოდ იბურავდნენ. ამას კიდევ რა უშავს — ბუნებით ბოძებულ წარბებს იპარსავდნენ და ხელოვნურებს იხატავდნენ, ამასთან დახატული წარბები უეჭველად რკალისებრი უნდა ყოფილიყო. თუ ფაშფაშა, გაფხოკილ კაბას კისრამდე მოცობილი საყელო არ აგვირგვინებდა, გულისპირი მხოლოდ ოდნავ, სამკუთხად უნდა ჰქონოდა ამოჭრილი.





შუა საუკუნეების მიბნედილი სილამაზის იდეალი აღორძინების ხანის სიცოცხლით აღსავსე — ფერ-ხორციანმა სილუეტებმა შეცვალა. ყოველივე არაბუნებრივი და შეზღუდული უგულებელყოფას იწვევდა, საზოგადოება ცხოვრებით ტკბობასა და დროს ტარებაში ხედავდა არსებობის აზრს. რენესანსის ეპოქის ლამაზმანი ასე გამოიყურებოდა — სავსე პირისახე, მწვანე ან შინდისფერი ატლასის კაბით შემოსილი სრული ტანი, მხრებზე თავისუფლად ჩამოშლილი ხშირი თმის ტევრი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ბევრი ქალი ისე ტანადი არ იყო, რომ სრულ გაბარიტებს პროპორციები არ დაერღვია და ამიტომაც ასეთმა მანდილოსნებმა ეშმაკობა იხმარეს — უძირო ფეხსაცმელი აამაღლეს, ქვესადგომები, ქუსლები გაუკეთეს და დიდადაც მოიგეს.

მომდევნო ასწლეულებში მოდების კანონმდებელი საფრანგეთის დედაქალაქი გახდა. ამიერიდან მოდას მთელ მსოფლიოს პარიზის სამეფო კარი კარნახობს. მოდა ითხოვდა და მშვენიერი ასულები უხვად პუდრმოფრქვეულ ვერცხლისფერ პარიკებს იხურავდნენ, სახეზე ფერუმარილს ისვამდნენ და ხელოვნურ ხალებს იწებებდნენ. ძვირფასი ქსოვილის ფართო ქვედატანზე კი უამრავი ვარდი უყვავოდათ.

რომანტიზმის ხანამ არაამქვეყნიური, მეოცნებე, პოეზიით გატაცებული, სუსტი ჯანმრთელობის ქალიშვილის იდეალი დაამკვიდრა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ეპოქამ იდეალს მკაფიო ასაკიც დაუდგინა — ულამაზესად მხოლოდ თვრამეტი წლის ასული ითვლებოდა. რომანტიკოსი ქალიშვილები ნაზი, ღია ფერის, თეძოებამდე ბაფთებით გაწყობილ კაბებს იცვამდნენ.

ნორჩი ლამაზმანების ხანამაც განვლო. XIX-XX საუკუნეებში ლამაზად ისევ მოწიფული ქალი ითვლებოდა. მერე და მერე სილამაზის იდეალი უფრო გაბედულად, მოურიდებლად იცვლება. ცვლილებები რევოლუციის ხასიათს ატარებს. ქალებმა ჯერ სულისშემხუთველი კორსეტები გაიხადეს, მერე კაბებიც დაიმოკლეს და მაღალი ფეხებიც გამოიჩინეს. ემანსიპაციამ შედეგად სპორტსმენი ქალის ტიპი გააბატონა. ნაზი სქესის წარმომადგენლებმა გადაჭრით თქვეს უარი სუსტი არსების ხატ-სახეზე, და მთელი თავისი იერით, ქცევით, ცხოვრების წესით აგრძნობინეს მამაკაცებს, რომ ცხოვრების ყველა სფეროში მათ პარტნიორობას აპირებდნენ. თანამედროვე ქალების გარეგნობა, ჩაცმა-დახურვა, ვარცხნილობა, ტან-ფეხი მათი დამოუკიდებლობის ამსახველ-გამომხატველია.

მაღალი, გამხდარი ტან-ფეხი, ზომიერად ნატიფი სახე, მსხვილი ტუჩები, ნებისმიერი ფერისა და სიგრძის მოვლილი თმა, ლაღი, შეუბოჭავი სიარული, ქცევა, ასეთივე ჩაცმულობა — დღეს ასეთი ქალები, ასეთი ქალიშვილები ითვლებიან ლამაზებად, ხვალ კი შეიძლება პირიქით, მსუქანი, დაბალი, ან სულაც კიდევ უფრო გამხდარი ქალის იდეალი გაბატონდეს. არც ის არის გამორიცხული, რომ სადა, ხალვათი ტანსაცმელი ისევ უსაშველოდ პრეტენზიულმა კაბებმა შეცვალოს...

# თამაშები

## ვარსკვლავიერ ცაზე



ცის ვარსკვლავიერ რუკაზე მკაფიოდ არის გამოკვეთილი 88 თანავარსკვლავედი. ასე დაადგინეს საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის კონგრესზე 1922 წელს და მაშასადამე, ახალი თანავარსკვლავედის გამოგონება სულაც არ არის საჭირო. ის, რაზეც შემოთავაზებულ მასალაშია ლაპარაკი, თამაშია და სხვა არაფერი და ცხადია, მისი მიზანი არამც და არამც არ არის ვარსკვლავიერი რუკის გადაკეთება-გადმოკეთება. საინტერესო და მომხიბვლელი კი ეს თამაში იმით არის, რომ იგი გვაიძულებს ყურადღებით დავაკვირდეთ ღამეულ ცას და მის შესწავლაში გვეხმარება.

ჩვეულებრივ, თანავარსკვლავედთა ფიგურები სულ არა ჰგავს იმას, რასაც მათი სახელწოდება აღნიშნავს. ის კი არა, ჩვენ მათ სულ სხვა საგნებს ვამსგავსებთ. მაგალითად, გედი ჯვარს ჰგავს, ქნარი — პარალელოგრამს, ცეფევსი — პარაშუტს და ა.შ. თხის რქის თანავარსკვლავედი თანამედროვე რეაქტიულ თვითმფრინავს მოგვაგონებს, მელაკუდის თანავარსკვლავედს კი ამერიკელებმა კოვბოის ჩექმა შეარქვეს. ისეც ხდება, რომ მხოლოდ თანავარსკვლავედის ნაწილს აქვს ხოლმე დამახასიათებელი, დასამახსოვრებელი კონფიგურაცია. მაგალითად, დიდი დათვის შვიდი ვარსკვლავი (სულ კი ამ თანავარსკვლავედში შეუიარაღებელი თვალისთვის მისაწვდომი 120-მდე ვარსკვლავია) ქმნის ყველასთვის ნაცნობ ციცხვს. ასეა სხვა თანავარსკვლავედებშიც...

მოდით, ჯერ ზამთრის ცარგვალს დავაკვირდეთ. ზამთრის თანავარსკვლავედთა კლასიკურ, საყოველთაოდ მიღებულ სახელწოდებებში ბევრია "საბრძოლო", "მხედრული". ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და კაშკაშა თანავარსკვლავედია "ორიონი", რომელიც ბაფთას ან უზარმაზარ, შუაზე "სარტყელშემოჭერილ" ძნას მოგვაგონებს. ვარსკვლავთა ძველ რუკაზე ორიონს გამოსახავდნენ ფარით შეიარაღებული, კუროსთან შებმული ადამიანის სახით, რომელსაც წელზე დაშნა ჰკიდია. ორიონის თანავარსკვლავედში უბრალო თვალით 120-მდე ვარსკვლავი მოჩანს, მკაფიოდ კი მათგან ცხრა გამოირჩევა: სამი ერთ მწკრივად, ერთმანეთთან ახლოს არის განლაგებული (ორიონის "სარტყელი"), ერთი სარტყელზე ჩამოკიდებული "დაშნაა", დანარჩენი კი მის "მხრებსა" და "ფეხებს" მოხაზავს. ერთ-ერთი ვარსკვლავის სახელი ბელატრიქსი "მებრძოლ ქალს" ნიშნავს. ორიონისგან ოდნავ ზევით და მარცხნივ ტყუპების თანავარსკვლავედია. დიოსკურები — კასტორი და პოლუქსი მშვენიერი ელენეს ძმები ყოფილან (ეს ის ელენეა, რომლის გამოც ტროადის ომი ატყდა). ორიონისგან ხელმარჯვენივ პერსევსის თანავარსკვლავედია. გულადი პერსევსის სწორუპოვარი საომარი თავგადასავლების მითი საყოველთაოდ არის ცნობილი.

ასტრონომიის მოყვარულთა ერთმა ჯგუფმა სცადა ზამთრის თანავარსკვლავედები ერთ სიუჟეტში — ძველებური იარაღის არსენალში გაეერთიანებინა. ვნახოთ, რა გამოუვიდათ. წარმოსახვაში ორიონის სარტყელი მთელი ცის უკაშკაშეს ვარსკვლავს სირიუსს რომ შევუერთოთ, უზარმაზარი ჩუგლუგის (ცულის) ვადის მოხაზულობას მივიღებთ. არქეოლოგების ჰიპოთეზით ბევრი ძველი ხალხი ორმაგი ჩუგლუგის კულტს ორიონის თანავარსკვლავედის მოხაზულობას უკავშირებდა. კრეტელები ასეთ ჩუგლუგს ლაბრისს ეძახდნენ. ზამთრის ვარსკვლავიერ ცაზე რამდენიმე ასეთი ჩუგლუგის მოძებნა შეიძლება. ტყუპების მართკუთხედი და პროციონის ვარსკვლავიც ქმნიან ლაბრისს. მესამე ორმაგი ჩუგლუგს კურდღლის

თანავარსკვლავედი და ვარსკვლავი ფაქტი ქმნიან.

მეეტლის ოთხი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი უზარმაზარი შუბის "ბუნიკს" ჰგავს, რომლის ტარი შეიძლება დიდი ციცხვის ვარსკვლავედს შეუერთოთ. ასეთი შეერთება სავსებით გამართლებულია: როგორც ვარაუდობენ, მეეტლემ სახელწოდება სწორედ დიდ ციცხვთან სიახლოვის გამო მიიღო, რომელსაც ძველად ეტლი ერქვა. შუბის თითქმის პარალელურად ვარსკვლავის ისარი მდებარეობს. ამ ისრის "ბუნიკი" კუროს თანავარსკვლავედში განლაგებული გიადა იქნება, ფრთა კი ვარსკვლავი ნატი (მეეტლის ხუთკუთხედის ქვედა ვარსკვლავი). ვერძის რამდენიმე ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს დუელის პისტოლეტს ამსგავსებენ, პერსევსის ვარსკვლავებისგან კი ჩაფხუტი და ჯილა გამოდის...

ახლა ზაფხულის თანავარსკვლავედებსაც მივხედოთ. შემოდგომა-ზაფხულის სამკუთხედში მკრთალად მოჩანს მელაკუდის თანავარსკვლავედი და ისარი, რომელიც მართლა წააგავს პატარა ისარს. ალტაირისგან მარცხნივ და ზემოთ დელფინის თანავარსკვლავედია — ვარსკვლავების რომბი პატარა კუდითურთ, მარჯვნივ და ქვემოთ კი ფარია. ჰერკულესის თანავარსკვლავედს ზოგჯერ ბურთის მოთამაშე ფეხბურთელსაც ამსგავსებენ. ჰერკულესის ქვაკუთხედის დასავლეთით ჩრდილო გვირგვინის თანავარსკვლავედია, რომელიც ნალს მოგვაგონებს.

მოდით, ახლა ვცადოთ, ყველა ამ თანავარსკვლავედის ნაცვლად ზაფხულის ცაში ჩაის სერვიზი დავინახოთ.

ცარგვალის ზემო სამხრეთ ნაწილში ფერის ჩაიდანია, გველისმჭერისა და გველის ვარსკვლავები ყავადანს ქმნიან, სამხრეთ გვირგვინის თანავარსკვლავედი კი ლიმონის ნაჭერს. თუ ცარგვალზე დაკვირვებას გავაგრძელებთ, დაეინახავთ, რომ ჩრდილო გვირგვინის თანავარსკვლავედისგან მშვენიერი ფინჯანი გამოვა, ჰერკულესის ქვაკუთხედიდან — შაქრის ნატეხი, დელფინისა და ისრის მომცრო თანავარსკვლავედებისგან — კენკრის მურაბის საჭმელი კოვზი, თავად კენკრა კი თითქოს არწივის თანავარსკვლავედის ვარსკვლავებისგან შექმნილ მურაბის ვაზაშია...

ეს თამაში შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. თუ ხშირ-ხშირად დავაკვირდებით ვარსკვლავიერ ცას, უამრავი ნაცნობი საგნის მოხაზულობას შევნიშნავთ, ის კი არა, შეიძლება მთელი სიუჟეტიც მივიღოთ. თუ ქარგად რაიმე ისტორიულ სიუჟეტს ავიღებთ, შეგვიძლია თამაშს უფრო რთული და საინტერესო ხასიათი მივცეთ. მაგალითისთვის გაზაფხულის ცა ავიღოთ, რომელზეც ძალზე ბევრი რამ ძველ ეგვიპტეს გვახსენებს. ვერონიკას თმა თანავარსკვლავედს ეგვიპტის ფარაონის პტოლემეოს III ევერგეტის ცოლის საპატივცემულოდ ეწოდა. ეგვიპტის ისტორიასთან არის დაკავშირებული ლომის თანავარსკვლავედიც. ოთხი ათასზე მეტი წლის წინათ, ნილოსი სწორედ მაშინ იწყებდა ადიდებას, როცა მზე ამ თანავარსკვლავედში შედიოდა. ამიტომაც სწორედ ეგვიპტეში იშვა შადრევნების და წყლის არხების გადასაგდები რაბების საკეტების ლომის გამოსახულებებით მორთვის ტრადიცია. სხვათა შორის, ცის ამ მონაკვეთზე მდებარეობს "კატისებრთა" ვარსკვლავიერი ოჯახის ყველა წარმომადგენელი: ლომი, მცირე ლომი, ფოცხვერი და აწგაუქმებული კატის თანავარსკვლავედი. მოგეხსენებათ, ეგვიპტეში კატა ერთ-ერთ წმინდა ცხოველად იყო მიჩნეული. ისტორიკოსთა ვარაუდით, ჯიქის დაწინწკლული ტყავი, რომლითაც ძველეგვიპტელი ქურუმები იმოსებოდნენ, ვარსკვლავიერ ცას განასახიერებდა. ტუტანხამონის აკლდამის სამარხის ჩრდილო კედელზე გამოსახულ ჯიქისტყავიან ქურუმს ხელთ რკინის საგანი უპყრია. ეს ხარის რქის სტილიზებული გამოსახულებაა. ცაში, ლომის თავზე მდებარე დიდ ციცხვს ეგვიპტელები ხარის ფეხს ეძახდნენ, თავად ლომი ქალწულითურთ სფინქსის ასოციაციას იწვევდა...

თუ ფანტაზია არ დაგვეშრიტება და თამაშს გავაგრძელებთ, შეგვიძლია კირჩხიბის თანავარსკვლავედში ტუტანხამონის ცნობილი ტახტიც შევნიშნოთ, ყორნის, ვერონიკას თმის თანავარსკვლავედებისა და ჰიდრას ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავების მოხაზულობაში კი — სამეფო ხელისუფლების აუცილებელი ატრიბუტები — გვირგვინი, მათრახი და სკიპტრა.

ამ მაგალითებით ჩვენ დაგანახეთ, რამდენგვარი შეიძლება იყოს ვარსკვლავიერი ცის შესწავლის საშუალებები. ამასთან, თითოეულ თქვენგანს შეუძლია საკუთარი გატაცებებისა თუ ინტერესების შესაბამისად მოიგონოს რაღაც. მაგალითად, ასტრონომიის ერთ-ერთმა ამერიკელმა პოპულარიზატორმა თავის მსმენელებს ერთხელ შესთავაზა შემოდგომის ცა ბეისბოლის სათამაშო მოედნად წარმოედგინათ, ანდრომედას, სამხრეთ თევზის, მერწყულის, ვეშაპის, პეგასის კვადრატის ვარსკვლავები და ვარსკვლავთა ჯგუფები კი მოთამაშეებად, მსაჯებად და ა.შ.

ვფიქრობთ, მოგეწონებათ "ვარსკვლავებით თამაში", გარდა იმისა, რომ ის დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ, ვარსკვლავიერი ცის შესწავლაშიც დაგეხმარებათ.

**„ნაუკა ი ჟიზნ"**



ეს ყუნწა მუხა, რომელიც საფრანგეთში, ზღვისპირა სენის დეპარტამენტში ალუვილ-ბელფოსეს ეკლესიის სიახლოვეს იზრდება, ათასზე მეტი წლისაა. მუხის ფუღუროში ორი სამლოცველოა განლაგებული. ამ საოცარ ხე-სამლოცველოს თქვენ მარჯვენა ფოტოსურათზე ხედავთ, მარცხენა, უფრო მომცრო ფოტოზე კი ქვედა სამრეკლოს ინტერიერია აღბეჭდილი, რომლისთვისაც 1698 წელს ნოტრ-დამ-დე ლა-პე უწოდებიათ.





# ქცევის ანბანი



დადგა დღე, როცა საკუთარ თავს გამოუტყდით, რომ ურთიერთობის კულტურა, კარგი ტონის წესები სახუმარო რამ არ ყოფილა. სულ ახლახან თქვენ წარმოდგენაც კი არ გქონდათ ამგვარ პრობლემებზე. ბევრ რამეს თქვენ მაგიერ მშობლები წყვეტდნენ — სტუმრებსაც ისინი ხვდებოდნენ, თქვენი მეგობრებისათვის განკუთვნილ საჩუქრებსაც ისინი არჩევდნენ და ტანსაცმლის სტილსაც ისინი გკარნახობდნენ. ახლა კი, როცა საგრძნობლად გაიზარდეთ და დამოუკიდებლად მოგაქვთ თავი, უამრავი კითხვა გაგიჩნდათ, რომელთა უფროსების გარეშე გადაწყვეტა გიჭირთ.

ირგვლივ მყოფნიც ხვდებიან, რომ გაიზარდეთ და მოთხოვნილებებსაც გაზრდილს გიყენებენ; რასაც პატარაობაში გპატიობდნენ, დღეს აღარ გაპატიებენ, გსაყვედურობენ, გკიცხავენ. როგორ აირიდოთ ზედმეტი შენიშვნები, საყვედურები? როგორ უნდა მოიქცეთ საზოგადოებაში? როგორ უნდა დაიჭიროთ თავი ამა თუ იმ სიტუაციაში? გვინდა ქცევის ნორმების გამომუშავებაში დაგეხმაროთ და ამიტომ გთავაზობთ ნაწყვეტებს პოლონელი მწერლის ალინა გოლდნიკოვას წიგნიდან "კარგი მანერები ნახატებსა და მაგალითებში".

## საჩუქრები

დაბადების დღეზე, დღეობაზე, ქორწილში და სხვა ღირსსახსოვარ დღეებში საჩუქრის ჩუქება ყურადღების გამოვლენის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული საშუალებაა. ეფიქრობთ, დაგვეთანხმებით, რომ საჩუქრის შერჩევა არც ისე ადვილია და ბევრი მიზეზის გამო მისი შერჩევა ხშირად ძალიან ჭირს ხოლმე. საჩუქარი ისეთი უნდა იყოს, რომ მოეწონოს იმას, ვისთვისაც განკუთვნილია, მეორე პრობლემაა მისი მიტანა და მირთმევა, მესამე კი — მისი მიღება. მოდით, თანმიმდევრობით გავარჩიოთ ყველა ეს მომენტი.

## როგორი უნდა იყოს საჩუქარი?

უდავოა, რომ საჩუქარმა სიხარული და სიამოვნება უნდა მოუტანოს ადამიანს. მაგრამ ამისათვის იგი პირველ რიგში პრაქტიკული უნდა იყოს, უნდა გააჩნდეს გარკვეული დანიშნულება. აბა დაფიქრდით, რა აზრი აქვს უმაქნის საჩუქარს? რა უყოს, ვთქვათ, თქვენმა მეგობარმა ისეთ ნივთს, რომელიც არაფერში გამოადგება. ისე რომ, მეგობრისა თუ ახლობლისათვის საჩუქრის შერჩევისას საკუთარ ფანტაზიას მაინცდამაინც დიდ გასაქანს ნუ მისცემთ, გონიერებას მოუხმეთ და ნუ აჩუქებთ ბებიას ველოსიპედის ზარს, ხუთი წლის დაიკოს — საქსოვ ჩხირებს, მამას — ნემსებისთვის განკუთვნილ პატარა ბალიშს, დედას კი — გეომეტრიის სახაზავებს. აჩუქეთ ადამიანებს ის, რაზეც ისინი ოცნებობდნენ, რაც მათ ესიამოვნებათ, რაც სჭირდებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჩუქრის შერჩევისას მარტო თქვენი გემოვნებითა და გატაცებებით არ უნდა იხელმძღვანელოთ. ალბათ ადვილად მიხვდებით, რომ გოგონას, რომელსაც არაფრად ეჭაშნიკება მოდელირება, თვითმფრინავის მოდელი არ უნდა აჩუქოთ, საყვარელი მამიდა კი, რომელსაც წრუწუნას დანახვაზეც კი გული უსკდება, ზღვის გოჭებით არ უნდა "გაახაროთ".

კიდევ ერთი პირობა. საჩუქარი უბრალო და იაფი უნდა იყოს — ისეთი, რომ მათი ადრესატი უხერხულობაში არ ჩავარდეს. არა გვგონია, ვინმე გაახაროს ისეთმა საჩუქარმა, რომლის საყიდლადაც ადამიანმა მთელი თავისი ფული დახარჯა, ან ახლობლებისგან ისესხა

საჭირო თანხა. გახსოვდეთ — მეტისმეტად ძვირფასი საჩუქარი უტაქტობასა და არადელიკატურობაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ხელგაშლილობასა და გულუხვობაზე...

ნურც ფორმალური საჩუქრის ჩუქებას მოინდომებთ, თორემ ასეც ხდება: ბოლო მომენტში გაგახსენდებათ, რომ ვიღაცის დაბადების დღეა, საჩუქარი თავის დროზე ვერ მოამზადეთ და იწყებთ. კარადებსა და უჯრებში ქექვას, იქნებ საკუთარ ნივთებში აღმოაჩინოთ ისეთი რამ, რაც თვითონ არ გჭირდებათ და არ მოგწონთ და მდგომარეობიდან გამოხვიდეთ. პოულობთ, კოხტად ახვევთ და საკუთარი თავით კმაყოფილი სახით მიდიხართ დაბადების დღეზე. რა სიამოვნება და სიხარული უნდა მოჰგვაროს ასეთმა საჩუქარმა?

ნურასდროს აჩუქებ სხვას საჩუქარს, რომელიც ოდესღაც შენ გაჩუქეს, განსაკუთრებით, თუ თვითონვე არ მოგწონს ის.

## საჩუქრის გადაცემა

საჩუქარი, როგორც წესი, კოხტად და ლამაზად უნდა იყოს შეკრულ-შეფუთული.

იგივე ეხება ყვავილებსაც: ისინიც შეფუთული უნდა მიართვათ, ქაღალდსა თუ ბაფთებს კი მას თავად ის ადამიანი შემოხსნის, ვისაც ისინი მიართვეს.

ნუ ეცდებით, ფასი დაადოთ თქვენს საჩუქარს — იმდენი ვირბინე, ისე ვიწვალე სანამ მივაგნებდი, მთელი ქალაქი შემოვიარე, ფეხზე ვეღარა ვდგავარო!

ნურც სინანულით ამოიოხრებთ: ეჰ, ბარემ მეც ძალიან მინდა ეს საფულე თუ კალმისტარი, მაგრამ არა უშავსო...

ნურც მირთმეული საჩუქრის გაუფასურებას შეეცდებით: მაპა-



ტიე, ასეთ უმნიშვნელო რაღაცას გჩუქნი, მაგრამ სხვა ვერაფერი ვიშოვნეო... მთლად ლამაზი ფერი არ არის, მაგრამ არჩევანი არ იყო და რა მექნაო...

ასეთ ლაპარაკს აზრი არა აქვს. თუ რაღაც ნივთს ჩუქნი, ე.ი. საჩუქებლად ვარგისად მიგაჩნია, ხოლო თუ შენი აზრით, ეს ნივთი მართლაც არაფრად ვარგა, რატომღა სჩუქნი?

ასე რომ, შევთანხმდეთ: საჩუქრის მირთმევას მარტო კეთილი სურვილები და ღიმილი უნდა ახლდეს. სხვა არაფერი. ნუ ეცდებით გამოიკითხოთ: "სიმართლე მითხარი, მოგეწონა ჩემი საჩუქარი? " თვითონვე დაფიქრდით: რა უნდა გიპასუხონ ასეთ შეკითხვაზე?

## საჩუქრის მიღება

ერთ მშვენიერ დღეს თქვენ თვითონვე მოგიწევთ მილოცვებისა და საჩუქრების მიღება. როგორ უნდა მოიქცეთ?

ჯერ ერთი, ნუ იოცნებებთ, რომ რაღაც არაჩვეულებრივ საჩუქრებს მოგიტანენ. ეს გაწბილების მეტს არაფერს მოგიტანთ. ამასთან, ყველას არ შეუძლია საკუთარი სიმპათიისა და კეთილი განწყობის საჩუქრის საშუალებით გამოხატვა. განა არ კმარა, რომ თქვენ მეგობარს თუ ნაცნობს არ დაავიწყდა თქვენი დაბადების დღე, მოვიდა, მოგილოცათ, ჯანმრთელობა და ბედნიერება გისურვათ?! თუ მილოცვასა და კეთილ სურვილებს სუვენირიც ახლავს თან, ნუ გადასდებთ გაუხსნელ საჩუქარს, ნუ გამოიჩენთ უყურადღებობას და გულგრილობას. ისე ნუ მოაჩვენებთ თავს, თითქოს საჩუქარს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თქვენთვის და თითქოს თქვენ სულაც არ მიგაჩნიათ აუცილებლად ყურადღების ამგვარი გამოვლინება. არა, მადლობა გადაუხადეთ საჩუქრის მომტანს და მაშინვე, მისი თან-

დასწრებით გახსენით იგი და სიხარული და სიამოვნება გამოხატეთ.

თუ ისე მოხდა, რომ იმ საღამოს სამი ერთნაირი კალმისტარი, ბევრჯერ წაკითხული წიგნი ან თქვენი სტილის შეუფერებელი კაშნე ან ჰალსტუხი გაჩუქეს, ნუ შეიმჩნევთ ამას, ნუ მიიღებთ უკმაყოფილო გამომეტყველებას.

თუ შოკოლადი, ხილი ან სხვა ტკბილეული მოგართვეს, სხვა დროისთვის ნუ შეინახავთ მათ, აუცილებლად გაუმასპინძლდით იქ მყოფთ.

თუ რამდენიმე ადამიანმა ერთდროულად გადმოგცათ საჩუქრები, ეცადეთ, ყველა ერთნაირი სიხარულით მიიღოთ. ნურავის აგრძნობინებთ, რომ ერთი ნივთი უფრო მოგეწონათ, ვიდრე სხვები. დანარჩენი საჩუქრების "ავტორებს" არ ესიამოვნებათ ეს.

## შეიძლება თუ არა ქუჩაში ჭამა?

ცხადია, მშიერი კუჭით სიარული ვერაფერი სიამოვნებაა, და მაინც გირჩევთ, ქუჩაში ჭამისგან თავი შეიკავოთ. შეგახსენებთ, რომ ღეჭვითი მოძრაობები, ყბების ქნევა, სილამაზეს სულაც არ გვმატებს — ტანსაცმელზე ნამცეცები გვიგროვდება, პირისახე ცხიმისაგან გვილაპლაპებს და საერთოდ... არა, უმჯობესია, სახლამდე მოითმინოთ. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება ნაყინი იყოს, იმიტომ, რომ ნაყინით ხელში ქუჩაში სირბილი, არიქა, სახლამდე მივიტანო და იქ შევჭამოო, ნამდვილად უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდებთ — ნაყინი გაგიდნებათ, ხელებსაც დაგისვრით, ტანსაცმელსაც და ქუჩასაც მოწუწავს. მაშ ასე — ნაყინის ქუჩაში ჭამა მიღებულია,



ოღონდ ეცადე, ლამაზად გააკეთო ეს და სხვების დასაცინი არ გახდე. თვითონ დაფიქრდი, განა ლამაზია, როცა ენაგადმოგდებული ლოკავ ესკიმოს, წუწები კი ლამის იდლიამდე ჩაგდის? ნაყინის ჭამა სულ ადვილად შეიძლება ტუჩებითა და კბილებით. ასე უფრო ესთეტიკურიც არის და მოსახერხებელიც, და არც ნაყინი კარგავს გემოს. ალბათ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ავტობუსში, მეტროში, ტროლეიბუსში თუ სხვა სახის ტრანსპორტში ნაყინით ხელში შესვლა ყოვლად დაუშვებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ვესიამოვნება, ვინმეს რომ კაბა ან პალტო ნაყინით დაუწუწო?

ხილს რაღა ვუყოთ? მიღებულია თუ არა ხილის ქუჩაში ჭამა? არა, არა და არა. დავიწყოთ იმით, რომ ხილი გაურეცხავია, გარდა ამისა, კურკას ან სხვა ნარჩენს რას უზამ? ჩანთაში ჩაიდებ? ცხადია, არა. ქუჩაში დააგდებ? ჯერ-ერთი დაანაგვიანებ, მეორეც, გამვლელებს საფრთხეს შეუქმნი, ხომ შეიძლება, ვიღაცას ფეხი გაუცურდეს და წაიქცეს? კი, ბატონო, ნაგვისთვის ურნები არსებობს, მაგრამ თვითონვე შეამჩნევდით, რომ ისინი ყოველი ფეხის ნაბიჯზე არ დგას, ხელში კურკებით, ნაფცქვენებითა და სხვა ნარჩენებით სიარული, დაგვეთანხმებით, არც ისე სასიამოვნოა. სხვა გზა არ არის — ცდუნებას უნდა გაუძლოთ — გზაში არ უნდა მოსვათ რძე სარძევედან, არ უნდა ამოლოკოთ არაჟანი ქილიდან, არ უნდა მოციცქნოთ პური, არ უნდა ამოჭამოთ კომბოსტოს მწნილი და ა.შ. ჯერ ყველაფერი შინ მიიტანე, პალტო გაიხადე, ხელები დაიბანე, მაგიდას მიუჯექი და წყნარად და მშვიდად ჭამე. ღმერთმა შეგარგოს!

## ტესტი ბიჭებისთვის

# რამდენად თანამედროვე შეხედულება გაქვთ?

1. ბარემ არ გინდა სკოლაში სიარული, მაგრამ სხვა გზა არა გაქვს – ყოველდღე უნდა იარო, შენ კი სულ სხვა რამეზე ოცნებობ. ვინ გინდა გამოხვიდე?

ა – მეზღვაური.

ბ – ბანკირი.

გ – ოქრომჭედელი.

2. წარმოიდგინე, რომ ორი კვირით გემზე დასვენების საშუალება მოგეცა. შენ:

ა – ამაზონიაში თავგადასავლებით სავსე მოგზაურობას ირჩევდი.

ბ – კანარის კუნძულებზე დაისვენებ.

გ – გუდაურში წახვალ.

3. დავუშვათ, მოხდა ისე, რომ შეგიძლია ხვალ მანქანა იყიდო. რომელს ირჩევდი:

ა – "ბმვ"-ს.

ბ – რუსეთის წარმოების მანქანას.

გ – შედარებით იაფ, ნახმარ მანქანას.

4. იძულებული ხარ, ყოველდღე საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრო. გზაში შენ:

ა – წიგნს კითხულობ.

ბ – გაზეთებს ათვალიერებ.

გ – უბრალოდ, ფანჯარაში იყურები.

5. ვთქვათ, პოლიტიკა გაინტერესებს. რომელ პარტიას მისცემდი ხმას?

ა – ყველაზე ძლიერს.

ბ – იმას, რომელიც საქმიანი ინიციატივებით გამოდის.

გ – ოპოზიციას.

6. დიდი ხნის უნახავ ამხანაგს შეხვდი და გინდა, სადილად მიიწვიო. სად წაიყვან?

ა – კაფეში.

ბ – პატარა, იაფ რესტორანში

გ – შინ.

7. ამის შემდეგ გინდა, ცოტა ხანი ერთად გაიაროთ. სად შეხვიდოდით?

ა – გამოფენაზე.

ბ – კინოში.

გ – დისკოთეკაზე.

8. გვიანია, უნდა დაშორდეთ ერთმანეთს. შენ:

ა – შინ მიყვები ამხანაგს.

ბ – შენთან წაიყვან, შინ.

გ – დაემშვიდობები და მარტო დაბრუნდები სახლში.

9. სიტყვა "სიყვარულის" გაგონებაზე რაზე ფიქრობ?

ა – საყვარელ ადამიანზე.

ბ – ხანმოკლე ფლირტზე.

გ – რომანტიკულ საღამოზე.

10. რომელ რადიოტალღას უსმენ?

ა – "ამერიკის ხმას".

ბ – "აუდიენციას".

გ – "თავისუფლებას".

11. დილით ძნელად გეღვიძება, ვერ ფხიზლდები და გინდა ამ მდგომარეობიდან გამოხვიდე. როგორ მოიქცევი?

ა – საკუთარ გამოთაყვანებულ "სიფათს" ვიდეოფირზე გადავიღებ.

ბ – კვირაში ერთხელ კარგა ხანს ვისეირნებ.

გ – ყოველდღე ნახევარ-ნახევარ საათს მაინც ვივარჯიშებ ხოლმე.

12. დაბადების დღეზე მეგობრები გთხოვენ, შენ თვითონ მოამზადო რამე. რას გააკეთებ?

ა – რაიმე სახელდახელოს.

ბ – ხაჭაპურს გამოვაცხობ.

გ – სალათს.

13. დალევით რაღას დალევთ?

ა – წვენს ან "ბორჯომს".

ბ – ღვინოს ან შამპანურს.

გ – ლუდს.

* * *

**შედეგი (ქულებში)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ა – 1 | ბ – 2 | გ – 1 |
| 2. | ა – 2 | ბ – 0 | გ – 1 |
| 3. | ა – 2 | ბ – 1 | გ – 0 |
| 4. | ა – 2 | ბ – 1 | გ – 1 |
| 5. | ა – 0 | ბ – 2 | გ – 2 |
| 6. | ა – 0 | ბ – 2 | გ – 0 |
| 7. | ა – 2 | ბ – 2 | გ – 2 |
| 8. | ა – 2 | ბ – 0 | გ – 0 |
| 9. | ა – 2 | ბ – 0 | გ – 1 |
| 10. | ა – 0 | ბ – 2 | გ – 1 |
| 11. | ა – 0 | ბ – 1 | გ – 2 |
| 12. | ა – 1 | ბ – 0 | გ – 2 |
| 13. | ა – 2 | ბ – 0 | გ – 1 |

* * *

**4 — 12 ქულა:** სამწუხაროდ, ძალზე კონსერვატული ყოფილხარ. ეცადე, შეიცვალო, თორემ შეიძლება დროს ფეხი ვერ აუწყო.

**13–23 ქულა:** სწორ გზაზე ხარ. საკმაოდ თანამედროვე ხარ და დროის სულისკვეთების გრძნობაც გაგაჩნია. თუმცა, ყოველთვის არა...

**23 ქულაზე მეტი:** შენ მომავლის ადამიანი ხარ. დამოუკიდებელი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული. მაგრამ, ერთი რამ არ დაივიწყო, საკუთარ წარმატებებს მომავალშიც კრიტიკულად მიუდექი. მოგეხსენება, სრულყოფისთვის ზღვარი არ არსებობს.



# უშუ ანუ მართლა შეუძლიათ შაოლინელ ბერებს გველად ან წეროდ იქცნენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინეთის ჩრდილოეთში, უძველესი ქალაქ ჩეენჯოუდან ასი კილომეტრის მოშორებით, სუნშანის მთებში, საყოველთაოდ ცნობილი სამი იეროგლიფით — "შაოლინსით" დამშვენებული ჭიშკრის მიღმა მდებარეობს შაოლინის მონასტერი (ნორჩი ტყის მონასტერი) — ყველა ბუდისტის, უშუისტის, კუნფუისტისა და ა.შ. მექა. მისი ისტორია ორ ათასზე მეტ წელს ითვლის. თვლა არა აქვს შაოლინთან დაკავშირებულ ლეგენდებს, ისტორიებს, უჩვეულო შემთხვევებს. დღეს მონასტერს შვიდი უფროსი ბერი ხელმძღვანელობს. ერთ-ერთი მათგანია დეციანი (წინსართი "დე" მის სახელში იმაზე მიუთითებს, რომ იგი შაოლინელი ბერების ოცდამეთერთმეტე თაობას ეკუთვნის).

დეციანი (ერისკაცობაში ვან ჩანცინი) 6 წლის ბიჭი იყო, როცა ბიძამისმა, უბრალო ბერმა მონასტერში მიიყვანა. 1966 წელს ჩინეთის "კულტურული რევოლუციის" დღეებში შაოლინის მონასტერი დახურეს, დეციანი კი ჩინეთისა და საბჭოთა ყაზახეთის საზღვარზე გადაასახლეს. 20 წელი დაჰყო გადასახლებულმა შაოლინელმა ბერმა დაკარგულ სოფელში და მთელი ეს ხანი საიდუმლოდ უშუს ხელოვნებასა და მედიცინას ასწავლიდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. ჩინეთში ვნებათაღელვა დამთავრდა, ქარიშხალმა გადაიარა, შაოლინის მონასტერიც კვლავ აღორძინდა და 1986 წელს მთავრობამ დეციანს მასში დაბრუნების ნება დართო. მალე იგი შაოლინის მთავარი ბერი გახდა მედიცინის განხრით, 1992 წლიდან კი დეციანი ამ მონასტრის საერთაშორისო აკადემიის რექტორი. გარდა ამისა, დეციანი მონასტრის უშუს საბრძოლო ხელოვნებათა მთავარ სპეციალისტადაც ითვლება (ევროპაში უშუს კუნფუს უწოდებენ). შაოლინელი ბერის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა უშუს განვითარება, ბრძოლა აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ცრუმოძღვრებებთან და ცრუსკოლებთან.

ამჟამად დეციანი 55 წლისაა, მაგრამ საოცრად მოქნილი, სხარტი, ენერგიული და ძლიერია. ამ თვისებების წყალობით მას შეუძლია ხელის ერთ თითს დაეყრდნოს და ისე გაჭიმოს ყირა. მის ერთ შეხებაზე ჩვეულებრივი აგური იბზარება, ბეტონის კედელს კი ქვიშა სცვივა. თვითონ დეციანს მიაჩნია, რომ ამაში არაჩვეულებრივი არაფერია და ამას ორგანიზმის შინაგანი რესურსების კონცენტრირების უნარს მიაწერს, ამასთან ხაზს უსვამს, რომ ამგვარი რესურსები ყველას გააჩნია, თუმცა ყველა არ იყენებს მათ. დეციანს ადამიანის ბედის წინასწარმეტყველებაც შეუძლია და ამას იმით ხსნის, რომ ინფორმაციას ადამიანის მოძრაობის, მზერის, ხმის საშუალებით ღებულობს და ღიმილით დასძენს, რომ ზებუნებრივი არც ამაშია რამე. ერთი სიტყვით, შაოლინელი ბერი დეციანი მეტად საინტერესო და ღირსეული ადამიანი გახლავთ. მოვუსმინოთ მას.

**— შაოლინელი ბერების ხელოვნებას ბევრი მხოლოდ ბრიუს ლის მონაწილეობით გადაღებული ფილმებით თუ იცნობს, რომლებშიც მარტოხელა მებრძოლი-ბერი შეიარაღებულ არმიასა და ვერტმფრენებს**



**უმკლავდება. რას წარმოადგენს სინამდვილეში შაოლინი, ვინ არიან აქაური ბერები?**

– შაოლინის მონასტერი უძველესი და ყველაზე პატარაა ჩინეთში, მისი სიგრძე სულ 300 მეტრია. 1928 წელს მომხდარმა ხანძარმა გაანადგურა ნაგებობათა უდიდესი ნაწილი. ამჟამად მონასტერში სულ 40 შენობა-ნაგებობაა, მათი ნახევარი მუზეუმად არის ქცეული. აქვეა სუვენირების ჯიხურები, პატარ-პატარა რესტორნები, ფოტოგრაფები, უშუს აღჭურვილობის მაღაზიები. ტურისტულ ნაწილსა და საკუთრივ მონასტერს ძველებური რკინის ჭიშკარი ჰყოფს, უცხო პირებს აქ არ შეესვლებათ.

ამჟამად მონასტერში 80 მორჩილი ცხოვრობს. მათგან ყველაზე უმცროსი 8 წლისაა, ყველაზე ხანდაზმული კი 78-ის. საბრძოლო ხელოვნებათა გარდა ბერები აქ სწავლობენ მედიცინას, ბუდისტურ კანონებს და "სამოქალაქო" მეცნიერებებს (კალიგრაფია, ლექსთწყობა, კლასიკური ლიტერატურა). ბერისთვის უმაღლესი შექება, როცა მასზე იტყვიან "ოთხ მეცნიერებას ფლობსო".

მონასტრის კურსდამთავრებულს შეუძლია საერო ცხოვრება აირჩიოს და მასწავლებლად, ექიმად იმუშაოს. იმაზე, თუ რა დიდად ფასობს შაოლინში მიღებული განათლება, მეტყველებს ის ფაქტი, რომ მონასტრის ეგიდით დაარსებულ რამდენიმე სასწავლებელში დღეს 2 ათასამდე ჩვეულებრივი მოსწავლე სწავლობს.

**— და მაინც შაოლინის მონასტერი, პირველ რიგში „ცისქვეშეთის საბრძოლო ხელოვნებათა“ ლეგენდარული აკვანია და ყველას უწინარეს ყოვლისა აინტერესებს სიმართლე ბერების უჩვეულო უნარ-შესაძლებლობებზე.**

– შაოლინი უშუს ისტორიული სამშობლოა, აქედან მომდინარეობს ყველა აღმოსავლური ორთაბრძოლა. გასაკვირი არ არის, რომ საბრძოლო ხელოვნების ყველაზე ძველი სახეობა იდუმალებითა და ლეგენდებით არის მოსილი. ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი შაოლინური ტრაქტატის წყალობით, რომელშიც აღწერილია ხუთი ცხოველის – ვეფხვის, ლეოპარდის, დრაკონის, გველისა და წეროს – ქცევების გამოყენებაზე დაფუძნებული ბრძოლის სისტემები, იშვა მითი იმის შესახებ, თითქოს ბერებს ამ ცხოველებად გადაქცევა ძალუძდეთ. რაც შეეხება ისტორიებს, ბერების ფიზიკურ შესაძლებლობებზე რომ ყვებიან, თუ მხატვრულ სინატიფეს არ ჩავთვლით, ისინი მეტწილად სინამდვილეს შეეფერება. ბერებს მართლაც შეუძლიათ ხელების დაუხმარებლად ავიდნენ ვერტიკალურ კედელზე, ხელით დაამტვრიონ რიყის ქვა, დაწვნენ ხმლების პირებზე. ოღონდ ზებუნებრივი ამაში არაფერია. ფიზიკური ძალისხმევისა და შემეცნების მუშაობის შერწყმით, ამას ახალგაზრდა ბერებიც კი აკეთებენ. მონასტრის გვერდით აშენებულია "უშუს სასახლე", სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თვალი ადევნოს "ჯადოსნობას".

**— შაოლინზე როცა ყვებიან ან წერენ, აუცილებლად იხსენიებენ „სიკვდილის დერეფანს“, სადაც ბერები თურმე გამოსაშვებ გამოცდებს აბარებენ და ამის შემდეგღა „ეშვებიან მთიდან“. იმასაც ამბობენ, თითქოს მონასტრის სარდაფი დღესაც მოფენილია იმათი ძვლებით, ვინც „ბრინჯაოს ადამიანებს“ ვერ აჯობა.**



– დღეს, როცა მონასტრის ნაწილი ღიაა მნახველებისთვის, თავისუფლად შეიძლება იმაში დარწმუნება, რომ მიწისქვეშეთი ძირითადად მარცვლეულისა და სხვა სურსათის შესანახად არის გამოყენებული. და არავ-

ითარი "ბრინჯაოს ადამიანები" იქ არ არის. თუმცა შაოლინის ქრონიკებში შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ "არქატთა დერეფანი" მართლაც არსებობდა. ეს იყო ჯერ კიდევ XI საუკუნეში გამოგონებული წვრთნის სისტემა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ გრძელ დერეფანში ბერს რიგ-რიგობით ესხმოდა თავს რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც თავ-თავისი ამოცანა ჰქონდათ. ერთს უნდა გამოეცადა მოსწავლის თავის დაფარვის უნარი, მეორეს მოქნეული ხმლის არიდების უნარი და ა.შ. მოგვიანებით, ლეგენდის თანახმად, ცოცხალი ადამიანები ხის თუ ბრინჯაოს მექანიკური მანეკენებით შეუცვლიათ. სამწუხაროდ, ისინი არ შემონახულა. მაგრამ ტრადიციების სახსოვრად ბერებმა არქატთა სკულპტურული დერეფანი შექმნეს, რომლებიც ტურისტთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

**— რა დასანანია, რომ ლამაზი ლეგენდები ასე ადვილი ასახსნელია, ნუთუ შაოლინის მონასტერს აღარანაირი საიდუმლოება არ გააჩნია?**

— როგორ არა, შაოლინს აქვს საიდუმლოებები. ერთ-ერთი მათგანია უშუ, რომელსაც საფუძვლად საბრძოლო წვრთნისა და მედიტაციურ-სასულიერო პრაქტიკის გაერთიანების იდეა უდევს. უშუში პრაქტიკულად არ გამოიყენება ძალისმიერი ხერხები — მათ ენერგიის ტრანსფორმირებისა და წარმართვის უნარი ცვლის. სუნთქვითი და ფიზიკური ვარჯიშების, ცნობიერების მუშაობის, მედიტაციების საშუალებით კონცენტრირებული ენერგია მარტო ორთაბრძოლებში კი არ ახდენს სასწაულებს, მას მრავალი სნეულების განკურნებაც შეუძლია.

ამ თვალსაზრისით, უშუ მედიცინასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე საბრძოლო ხელოვნებასთან, რაც მას სხვა სახის ორთაბრძოლებისგან გამოარჩევს. საუკუნეების მანძილზე გადაიცემა — სხეულისა და სულის სამკურნალო სხვადასხვა მალამოების, ბალზამების და ნაყენების რეცეპტები. ბოლო ხანებში ბერები ცდილობენ ფარდა ახადონ საიდუმლოებებს, რადგანაც მიაჩნიათ, რომ მათი ხელოვნება ფართოდ უნდა ემსახურებოდეს ადამიანებს. ამიტომვე შეიქმნა შაოლინური კუნგ-ფუს (უშუს) საერთაშორისო ფედერაცია.

**— მაშასადამე, შაოლინური ბერების მეთოდიკის გამოყენება გაუთვითცნობიერებელ ადამიანსაც შეუძლია?**

— შაოლინურ მოძღვრებათა უმრავლესობას საფუძვლად თვითჭვრეტის, საკუთარი თავის ერთგვარად შიგნიდან ჭვრეტის გზით ნების კონცენტრირების პრინციპი უდევს, რაც მოუმზადებელი ადამიანისათვის საკმაოდ რთულია. შაოლინში ამ ტექნიკის ათვისებას მოსწავლე დაახლოებით ერთ წელს ანდომებს. სწავლების კურსი, როგორც ასეთი, მონასტერში არ არის — ვიღაცამ შეიძლება მთელი სიცოცხლე მოანდომოს ჭეშმარიტებს შეცნობას, ვიღაცამ კი ერთი-ორი წელი. თითოეული თვითონ წყვეტს, რამდენი ხანი დაჰყოს მონასტერში. მაგრამ ის ბერიც კი, რომელიც საერო ცხოვრებას უბრუნდება, შაოლინის საძმოს კანონებით ცხოვრებას აგრძელებს.



**— მაინც რა კანონებია ეს?**

— ბერები არ სვამენ სპირტიან სასმელებს, არ ჭამენ "სისხლიან" საჭმელს — ანუ იმ ცხოველების ხორცს, ვისაც სისხლძარღვთა სისტემა გააჩნია. ბერის რაციონს შეადგენს ბრინჯი, ხილი, ბოსტნეული, ზღვის პროდუქტები — ხამანწკები და ამგვარები. ისინი ძირითადად მწვანე ჩაის სვამენ. მათ თვალი უნდა ადევნონ საკუთარ ფიზიკურ და ასტრალურ სხეულს. ამიტომ ვარჯიშებისა და მედიტაციებისათვის ისინი მთაში მიდიან.

შაოლინური მედიტაციები სულაც არა ჰგავს ტრადიციულ მრავალსაათიან გაუნძრეველ ჯდომას გაქვავებულ პოზაში. ეს უფრო ბერის საკუთარ "მესთან" მუშაობაა, რომელიც არ იზღუდება მკაცრად განსაზღვრული პოზებით. შაოლინური ბუდიზმი არსებითად განსხვავდება ამ რელიგიის ტრადიციული გაგებისაგან: იგი არ ქადაგებს ბუდის ბრმა მიბაძვას და თვითსრულყოფის მცნებას ამკვიდრებს.

დანარჩენში ბერები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ ხელში, შეიძლება ჭამის დროს სახმარი ჩხირებიც კი მრისხანე იარაღად იქცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მასწავლებელმა გაგას პასუხი რომ მოისმინა, უთხრა:

— რომ იცოდე, ხვედელიძე, რა სიამოვნებით დაგიწერდი "ორიანს", მაგრამ, ნიშნის მომატების უფლება არა მაქვს.

* * *

ატირებული პატარა ჭიაყელა დედას ეკითხება:

— დედიკო, დედიკო, ჩვენი მამიკო სად არის?

— ჩუ, ჩემო პატარა, მამიკო ძიებთან ერთად სათევზაოდ წავიდა.

* * *

გივი გამოცდის შემდეგ შინ დაბრუნდა. მშობლებმა ჰკითხეს:

— რა ქენი, როგორ უპასუხე?

# სიცილის გაკვეთილი



— მამა, შეიძლება, სასეირნოდ წავიდე, როცა შენ ჩემს გაკვეთილებს მორჩები?

— კარგად, მაგრამ, ეტყობა, ნინო მასწავლებელი ძალიან მორწმუნეა: როცა რამეს ვამბობდი, სულ ზევით იყურებოდა და იძახდა: "ო, ღმერთო ჩემოო!"

* * *

კლასის დამრიგებელი ეუბნება გარმაც და უდისცი პლინო თემურს:

— სიორიძე, შენ თუ ასე გააგრძელე, მამაშენს ჭაღარა თმა გაუჩნდება.

— აუჰ, მასწ, რომ იცოდეთ, რას გაიხარებს?! მამაჩემი მელოტია!

* * *

— ჭიჭიკია, სად მიგყავს ეგ ძაღლი?

— მესაათესთან.

— ძაღლს რა უნდა მესაათესთან?

— რა ვიცი, სულ უკან მრჩება, ეს ოხერი!

* * *

— იცი, დღეს, სულ ცოტა, ოთხი კაცის სიცოცხლე გადავარჩინე.

— როგორ?

— ჩემს ცოლს მანქანით წასვლა დავუშალე.

# იწილო–მიწილო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავსატეხი

პაპა 56 წლის იყო, შვილიშვილი – 14. როდის იქნება პაპა შვილიშვილზე ორჯერ უფროსი?

* * *

პითაგორას ჰკითხეს, რამდენი მოწაფე გყავს სკოლაშიო? აი, რა უპასუხა მეცნიერმა:

– ჩემი მოწაფეების ნახევარი მათემატიკას სწავლობს, მეოთხედი – მუსიკას, მეშვიდედი დუმს, გარდა ამისა, სკოლაში კიდევ სამი ქალია.

რამდენი მოწაფე ჰყოლია პითაგორას?

### წინა ნომრის თავსატეხების პასუხები

მონეტა ჯენიკმა მოიპარა. მხოლოდ მას ჰქონდა ლიპარტთა სალონში აევჯის, ყველა ნივთის



საგულდაგულოდ გაწმენდის საფუძველი. ორივე ძმის თითების ანაბეჭდები ადვილად ასახსნელი იქნებოდა.



დააკვირდით ამ ორ ნახატს და დაადგინეთ, რისთვის შემოვიდა სახელოსნოში მისი პატრონი, რა წაიღო მან?

# მსოფლიოს ყველა ვარსკვლავი

# ლეონარდო დი კაპრიო

გარდა იმისა, რომ "ტიტანიკის" შემდეგ ლეონარდო დი კაპრიო ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ მსახიობად იქცა, იგი მთელი მსოფლიოს ქალების და განსაკუთრებით, გოგონების თავდავიწყებული გატაცების საგანიც გახდა

ვხვდებით, რომ ჩვენს მკითხველებსაც ძალიან აინტერესებს ყველაფერი, რაც კი დი კაპრიოს შეეხება. მოვუსმინოთ მას.

— ლეონარდო, ეტყობა, "ტიტანიკის" წარმატებამ გრანდიოზული ცვლილებები შეიტანა შენს ბედში, შენს ცხოვრებაში. დღეს ყველა ჟურნალ-გაზეთი თუ ტელევიზია შენზე გაჰყვირის. არ განერვიულებს ასეთი აჟიოტაჟი, შენ შესახებ გავრცელებული ხმები, ჭორები?

— ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, არავითარი ყურადღება არ მიმექცია ამისთვის, მაგრამ ზოგჯერ, უბრალოდ, გული მერევა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ვცდილობ, გულგრილი დავრჩე, გარეგნულად მაინც. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სისულელეა, მაგრამ მე რომ იმ მონაჩმახის გაქარწყლებას შევუდგე, რასაც ჩემზე წერენ, სხვა ვეღარაფრისთვის მოვიცლიდი.

— გამოდის, რომ სახელგანთქმულობა არც ისე იოლი ყოფილა... ზოგჯერ მაინც თუ ახერხებ ნორმალურად ცხოვრებას?

— ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, რომ მშვიდად, ჩემს ნებაზე გართობის საშუალება არა მაქვს. იმის ნაცვლად, რომ ყველა ადამიანივით ვისიამოვნო, იძულებული ვარ, სულ შედეგებზე ვიფიქრო...

— კინოში შენ უმთავრესად რომანტიკოსებს თამაშობ, რომლებიც დიდი სიყვარულისთვის თავს სწირავენ. შენ თვითონ თუ გწამს დიდი სიყვარული — კინოში კი არა, ცხოვრებაში?

— დიახ, რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე ასეთი გრძნობა ჯერ არ განმიცდია. მაგრამ, მე ხომ ჯერ ახალგაზრდა ვარ და ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ მე ისეთ ადამიანებს ვეკუთვნოდე, რომლებიც მოგვიანებით ქორწინდებიან, ასე, ათიოცი წლის ერთობლივი ცხოვრების შემდეგ... არ ვიცი. ჩემი აზრით, ქორწინებისთვის საკმარისი გამბედაობაა საჭირო.



— როგორც ამბობენ, ჰოლივუდში შენ ხელში ჩასაგდებად ლამის ერთმანეთს ყელი გამოღადრონ, როგორ ახერხებ, შენ ირგვლივ ატეხილ აურზაურში არ გაყოყოჩდე?

— საბედნიეროდ, ბევრი კარგი მეგობარი მყავს, ისინი მეხმარებიან, ამ კოშმარს გავუმკლავდე. მაგალითად, მარკი მარკი ან ჯულიეტ ლიუისი. ისინი ყოველთვის პოულობენ ჩემთვის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მე სიმყუდროვე, სიმშვიდე მჭირდება...

— ბევრი ვარსკვლავი ნარკოტიკებს ხმარობს... შეგიძლია, გულწრფელად თქვა: რა დამოკიდებულება გაქვს ნარკოტიკებისადმი?

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ თითოეულმა ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ იცხოვროს. რაც შემეხება პირადად მე, ჩემთვის ეს გადაჭრილი საკითხია: ნარკოტიკების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. მე აბსოლუტურად რეალურად ვუყურებ ყველაფერს და მესმის, რომ მე მხოლოდ პაწაწკინტელა ჭანჭიკი ვარ იმ უზარმაზარ ხორცსაკეპ მანქანაში, რომელსაც ჰოლივუდი ჰქვია. ვინ იცის, შეიძლება ორიოდ წლის შემდეგ საერთოდ აღარავის გავახსენდე. ადრე ოკეანოლოგობაზე ვოცნებობდი, ზღვის სიღრმეები მეწეოდა. მინდოდა, მსოფლიოს გარშემო მემოგზაურა, დამეცვა დაღუპვის პირას მისული ცხოველები... მაგრამ, მსახიობი გავხდი. ამაში კი ჩემი ნახევარძმა ადამია დამნაშავე. იგი სარეკლამო ფილმებზე მუშაობდა და ძალიან მალე დიდძალი ფული იშოვა. მეც მომინდა და...



— კიდევ, რას ინატრებდი, რას გინდა მიაღწიო?

— რადგანაც სიკვდილის შემდგომ სიცოცხლე არა მწამს, მინდა, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მივიღო სიცოცხლისგან, მისი ყოველი წამისგან. გაბედული, სარისკო რამეები მიყვარს, ვთქვათ, პარაშუტით გადმოხტომა და სხვა ამგვარი. ჩემი მიზანია ვაკეთო ის, რაც მინდა.